საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიანურებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 20 იანვარი. 2021 წ. №13 (9132) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

მიხეილ ჯიბუტი:

გაასწრო თუ ნავიდა, რომ დარჩეს?

ბიძინა ივანიშვილი ოცნებობს საკუთარი პარტიის დამარცხებაზე! 5

ვახტანგ ძაბირაძე: ივანიშვილის აჩრდილი ჯერჯეროობით კაბინეტებში მაინც დარჩა! 3

იენს სტოლტენბერგი: რუსეთს არა აქვს იმის გადაწყვეტის უფლება, საქართველო და უკრაინა გაწევრდნენ თუ არა ნატოში? 2



არაფერი ადამიანური (შეცდომებიც!) ამერიკისთვის უცხო არ არის!



1960-2020: აშშ-ის პრეზიდენტების არჩევნები სტატისტიკოსის თვალით 8

2000-ზე მეტი უცხოელი იწონებს პროექტს - „იმუშავე საქართველოდან“!

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინ-ფორმაციით, პროექტში — „იმუშავე საქართველოდან“ ჩართვის სურვილი, 2020 წლის 27 აგვისტოდან 2021 წლის 17 იანვრის ჩათ-ვლით, 90 ქვეყნის 2000-ზე მეტმა მოქალაქემ გამოთქვა.

„პროექტი, რომელიც პანდემიის პირობებში ტურიზმის სექ-ტორის მხარდაჭერას ისახავს მიზნად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარე-ბის სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ შე-იმუშავა. პროექტი ხელს უწყობს საქართველოში მაღალმხარ-ჯველუნარიანი საერთაშორისო ვიზიტორების მიღებას, რომელ-თა საშუალო თვიური შემოსავალი 2 000 აშშ დოლარზე მეტია და ქვეყანაში მინიმუმ 6 თვე დარჩებიან. ქვეყანა იღებს გრძელ-ვადიან საერთაშორისო ვიზიტორებს, რომლებიც საკუთარ და-ნაზოგებს ტურისტული, სამომხმარებლო სერვისისა და პრო-დუქციის მიღების მიზნით საქართველოში დახარჯავენ. პრო-ექტის მონაწილეები ხშირად ოჯახის წევრებთან ერთად ჩამო-დიან“, — აცხადებენ სამინისტროში.

გაკეთებული განაცხადების საფუძველზე საქართველოში უკვე ჩამოვიდა 742 პირი. საპროგნოზო ინდიკატორების მი-ხედვით, ისინი საქართველოში 6 თვის განმავლობაში დაახ-ლოებით 9 მილიონამდე აშშ დოლარს დახარჯავენ. პროექ-ტში უკვე რეგისტრირებული 2 190 უცხოელის ჩამოსვლა კი, საშუალოდ, 6-თვიან პერიოდში 26 მილიონი აშშ დოლარის პოტენციურ დანახარჯს უდრის.

უცხოელებიდან, რომლებმაც შესაბამისი აპლიკაცია უკვე შეავ-სეს, — 58% თვითდასაქმებულია, 26% სრულ განაკვეთზე მუშაობს, ხოლო 16% კი მეწარმეა. „იმუშავე საქართველოდან“ პროექტით და-ინტერესდნენ საერთაშორისო გამოცემები და სამოგზაურო მედი-აპლატფორმები. პროექტის შესახებ სტატიები მოამზადეს New York Times-მა, Forbes-მა, Insider-მა, Big , Travel-მა და სხვა გამოცემებმა.



დავით ქართველიშვილი: „ნაცმოძრაობავ“, მკვდარი ხარ-მეთქი, მკვდარი! 7

თენგიზ ფხალაძე: რთულ ვითარებას ზოგიერთი პარტიის გაქრობაც მოჰყვება! 2

ჯოლეკა: ჭოთაურების ჭესტიკი

„ვაი, როგორ გაფრენილა ⑨ ჩემი ჟღალი მიმინო“...

პროკურატურამ თამარ ბაჩალიაშვილის საქმის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

საქართველოს პროკურატურაში თამარ ბა-ჩალიაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავში-რებით, მტკიცებულების შესაძლო ფალსიფიკაცი-ის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს.

ამის შესახებ გენერალური პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი.

„გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო მოქალაქე გ.თ.-ს მიერ მოწოდებული ინფორმა-ცია, რომლის მიხედვითაც, მასთან მცხოვრებ ნა-თესავ გოგონას მ.შ.-ს, რომელიც ფსიქიკური პრობლემებიდან გამომდინარე მეურვეობას სა-ჭიროებს და მასთან ცხოვრობს, სისტემატური სატელეფონო ურთიერთობა აქვს თამარ ბაჩა-ლიაშვილის დედასთან თეონა თამაზაშვილთან და მის ადვოკატ მიხეილ რამიშვილთან, რომლებ-საც მცდარ ინფორმაციას აწვდის იმის შესახებ, თითქოს იგი თამარ ბაჩალიაშვილს იცნობდა და მისი გარდაცვალების გარემოებებთან დაკავში-რებით გარკვეულ ინფორმაციას ფლობს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება სა-ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გრძელდება. გამოძიების ფარგლებში ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები“, — ნათქვამია განცხადებაში.

მსოფლიო ბანკი მზად არის საქართველოს მხარდასაჭერად!

გიორგი გახარიამ სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორთან შეხვედრა გამართა. შესანიშნავი შეხვედრა იყო, ჩვენი მოსაზრებები თანხვედრაშია იმ წარმატებული თანამშრომლობის შესახებ, რომელიც საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს ბოლო წლების განმავლობაში აკავშირებს, — ამის შესახებ მსოფლიო ბანკის (WB) რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის ეფექტური და წარმატებული თანამშრომლობა, ვაქცინაციის სამოქმედო გეგმა, ქვეყნის ევროინტეგრაცია და სტრუქტურული რეფორმების დღის წესრიგი იყო. სებასტიან მოლინეუსმა დაადასტურა მსოფლიო ბანკის მზაობა, მხარი დაუჭიროს ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით, საქართველოს მთავრობის უმთავრეს გეგმას — 2024 წლისთვის წევრობის ოფიციალური განაცხადის მომზადებასთან დაკავშირებით.

მსოფლიო ბანკი მზად არის, განაგრძოს საქართველოსა და ევროკავშირის დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერა, მათ შორის რეგიონული მნიშვნელობის სტრატეგიული პროექტების განხორციელების მიმართულებით. ამასთან ერთად, მიმდინარე პერიოდში მსოფლიო ბანკის სურვილია ვაქცინაციის მიმართულებით საქართველოს მთავრობის ძალისხმევის ხელშეწყობა.

გიორგი გახარიამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერას კოვიდ-19-ის პანდემიასთან ბრძოლის პირობებში უდიდესი პოზიტიური გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ ფონზე. აღინიშნა, რომ მსოფლიო ბანკის უახლესმა პროგრამებმა ხელი შეუწყო ისეთ მნიშვნელოვან რეფორმებს, როგორიცაა: საპენსიო რეფორმა, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეფორმა, კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმა; საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის განვითარება და სხვა. პრემიერ-მინისტრმა და მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა 2019-2022 წლების პარტნიორობის ჩარჩოს ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავების მზადყოფნა გამოთქვეს.

იენს სტოლტენბერგი: რუსეთს არა აქვს იმის გადაწყვეტის უფლება, საქართველო და უკრაინა გაწევრდნენ თუ არა ნატოში?

„რუსეთს არა აქვს უფლება, ჩაერიოს, დაბლოკოს ან შეაჩეროს სუვერენული სახელმწიფოს ნატოში გაწევრიანება“!

იენს სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ თუ საქართველოს ნატოს წევრობა სურს, რუსეთი ამას ვერ შეაჩერებს.

„გაწევრიანდება თუ არა საქართველო ნატოში, ეს საკითხი მხოლოდ საქართველოს და ალიანსს ეხება. სხვა ყველაფერი სუვერენული სახელმწიფოს სუვერენული უფლებების შელახვა იქნება. ის, რაც რუსეთმა გააკეთა, როდესაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია, მიუღებელია. იგივე ეხება უკრაინას: ყირიმის უკანონო ანექსია და დონბასის დესტაბილიზაცია საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს არღვევს, რომლითაც მშვიდობიან და სტაბილურ მსოფლიოს ვქმნით“, — აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

ვაქცინაციის ეროვნული გეგმა

ვაქცინაციის ეროვნული გეგმა განიხილა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ კოვიდვაქცინაციის პროცესის შეუფერხებელი უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი სპეციალური კომისიის წევრებთან შეხვედრაზე, რომელიც გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ ქვეყანაში დღეს მოქმედი მიზნობრივი შეზღუდვების შედეგად, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა, თუმცა ეს მოდუნების საფუძველი არ უნდა გახდეს, რადგან მიღწეულ შედეგებს გაფრთხილება სჭირდება.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, იმისთვის, რომ ეკონომიკა თანდათან გაიხსნას და ინფიცირების მკვეთრი ზრდა თავიდან იყოს აცილებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების ერთობლიობას — ტესტირების რაოდენობის ზრდის დინამიკის შენარჩუნებას, შეზღუდვების ეტაპობრივად, გონივრულად შემსუბუქებას და ვაქცინაციას. გიორგი გახარიამ აღნიშნა, რომ სწორედ ამ მიზანს ემსახურება მთავრობის თანმიმდევრული ნაბიჯები, რომლის ნაწილიცაა ვაქცინაციის ეროვნული გეგმა, რათა ქვეყანა ტექნიკურად მზად იყოს ვაქცინაციის დასაწყებად.

როგორც ცნობილია, გეგმა ასევე მოიცავს ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ლოგისტიკურ თუ საოპერაციო საკითხებს. გეგმის მომზადებაში ჩართული ექსპერტებისა და შესაბამისი უწყებების წარმომადგენლების შეფასებით, დოკუმენტი სრულ შესაბამისობაშია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციების მოთხოვნებთან, ამავდროულად, გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული ჯგუფები თანხვედრაშია მსოფლიო სტანდარტებსა და ადამიანის უფლებებთან.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაურმა ვაქცინაციის ეროვნული გეგმის მომზადებაში ჩართულ ყველა ადამიანს, დარგის ექსპერტებს, სახალხო დამცველს და დონორ ორგანიზაციებს მადლობა გადაუხადა. ვაქცინაციის ეროვნულ გეგმას საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს, რის შემდეგაც ის საჯარო გახდება.

„აშშ-ის ელჩი შენკენ არ არის, ევროკავშირის ელჩი შენკენ არ არის, ქუჩაში ხალხს ვერ კრებ, რის იმედად უნდა ვიყოთ“?!



— ამის შესახებ „გირჩის“ წევრმა, **იაგო ხვიჩიამ** განაცხადა. როგორც იაგო ხვიჩიამ აღნიშნა, ელჩებთან შეხვედრების დროს ნათლად ჩანდა, რომ ისინი არ იყვნენ ოპოზიციის მხარეს.

„ჩვენი პოზიცია იყო ყოველთვის მოლაპარაკების მაგიდასთან მყარად ჯდომა, ჩვენ არავის გავეკრიტიკებინეთ, არ წაგვეგო ფასილიტატორებთან მოლაპარაკება. წარმოიდგინეთ, პირველი ამბავი რაც იყო, პროცესი დავინახეთ, რომ ელჩები არ არიან ჩვენსკენ. დავინახეთ, ეს ყველაფერი ჩანს. მერე ეს დადასტურდა იმით, რომ გამოვიდა აშშ-ის ელჩი და შედით პარლამენტშიო, გვითხრა, მაგრამ, მანამდეც ჩანდა ეს ტენდენცია. მე სულ ვსვამდი კითხვას, ერთადერთი ინსტიტუცია, რასაც ვენდობი ამ ქვეყანაში, არის ამერიკის საელჩო. ჩვენი აწყობილი არ არის, სხვამ აგვიწყო. ხომ არიან ადამიანები, რომლებიც ენდობიან პატრიარქს, ჩათვალეთ, რომ ჩემი პატრიარქი არის აშშ-ის ელჩი. მე ვიცი, თუ რამე გაგვიჭირდება ამ ქვეყანას, ჩვენ უნდა წავიდეთ და აშშ-ის ელჩს უნდა ვთხოვოთ დახმარება. მე სულ, ამ პროცესის განმავლობაში მაინტერესებდა აშშ-ის ელჩის აზრი. ელჩთან შეხვედრაზე არ ვიყავი, მაგრამ სადაც ვიყავი, სულ ამას ვამბობდი. უცბად დავინახე, რომ ამ მონაწილეებს აშშ-ის ელჩის აზრი ისე არ აინტერესებთ, როგორც მე. მე ვარ აქტივისტი, რომ არაფერი ვაწყენინოთ აშშ-ის ელჩს ან რამე ცუდი არ დაგვემართოს, რამე შეცდომა არ მოგვივიდეს. ეს უბრალოდ, არ არის ინტერესის საგანი. პირველი ჩემი აფეთქება იყო ასეთი, რომ მე არასოდეს არ გადავიკიდებ არც ერთი ოპოზიციონერის გამო აშშ-ის საელჩოს. ეს ამ ქვეყნის მომავალია“, — განაცხადა იაგო ხვიჩიამ.

ბექა დავითულიანი: დღეს ოპოზიციას აქვს ერთგვარი ზეწოლა ორი პოლიტიკური ცენტრისგან და ლიდერისგან!..

— დღეს ოპოზიციას აქვს ერთგვარი ზეწოლა ორი პოლიტიკური ცენტრისგან და ლიდერისგან, ესენი არიან „ევროპული საქართველო“ და „ნაციონალური მოძრაობა“. აქვთ ზეწოლა იმასთან დაკავშირებით, რომ ვერ და არ შევიდნენ პარლამენტში და არ აღასრულონ ნება, რომელიც გამოხატა ამომრჩეველმა. ეს არის ერთგვარი ტესტი, ვინ რამდენად დამოუკიდებელია ამ პოლიტიკური ცენტრისგან, „ნაციონალური მოძრაობისგან“ და იმედი მაქვს, ამ ტესტს ვიღაცები ჩააბარებენ. რაც შეეხება კონკრეტულად გიგა ბოკერისთან პრეტენზიებს ოპოზიციის ნაწილის მხრიდან, ეს ჩემი საქმე ნამდვილად არ არის, თუმცა, გასაგებია, რატომ არ უნდათ ბოკერიასა და სააკაშვილს პარლამენტში შესვლა და კონსტრუქციული პროცესი, რადგან ვერც ერთი და ვერც მეორე, როგორც ლიდერები, ვერ ხვდებიან ამ პარლამენტში, ამიტომ მათთვის სულ ერთია მათი რიგითი წევრები, მაგალითად, არმაზ ახვლედიანი მოხვდება თუ არა პარლამენტში. ამომრჩეველმა დაადასტურა, რომ ახალ ძალებს აქვთ შანსი განვითარების, ყოველგვარი სამართლებრივი, პოლიტიკური და რაციონალური ლოგიკის მიღმა არგუმენტების გარეშე, ვიღაცები მაინც უარს ამბობენ პარლამენტში შემოსვლაზე, ეს ნიშნავს, რომ მათზე არის სხვა ტიპის ზეწოლა, ბულინგი თუ მორალური შანტაჟი, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ ამ პლატფორმების ზეგავლენისგან გათავისუფლება“... — განაცხადა ჟურნალისტებთან უმრავლესობის წევრმა ბექა დავითულიანმა.

„პოლიტიკური კრიზისი არ არის მხოლოდ ის თემა, რომ რომელიღაც პარტია შევიდა პარლამენტში ან არ შევიდა. ეს არის პრობლემების დაგროვება, რაზეც დიდი ხანია, ვლაპარაკობთ. ამ მოცემულობიდან რაღაც გამოსავალი უნდა მოიძებნოს, რისი თანმდევიც შეიძლება იყოს ზოგიერთი პარტიის საერთოდ გაქრობა ან ახალი პარტიების ჩამოყალიბება“, — აცხადებს „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ ასოცირებული პროფესორი, საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი **თენგიზ ფხალაძე.**

ვახტანგ ძაბირაძე: ივანიშვილის აჩრდილი ჯერჯერობით კაბინეტებში მაინც დარჩა!

ბიძინა ივანიშვილის ათწლიანი პოლიტიკური კარიერის დასრულების შემდეგ, ირაკლი კობახიძემ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტზე გადაინაცვლა.

პარტიის ახლადარჩეული თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის წასვლა მათთვის სერიოზული გამოწვევაა, თუმცა, ისინი ყველა გამოწვევას გუნდის ერთიანობით უპასუხებენ.

„მთავარია, რომ გუნდში არის ერთიანობა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, გამოწვევა არის სერიოზული, როცა ასეთი რესურსის მქონე პარტიის თავმჯდომარე ტოვებს პოლიტიკას და პოლიტიკურ გუნდს, მაგრამ ჩვენ გუნდის ერთიანობით ვუპასუხებთ აბსოლუტურად ყველა გამოწვევას და ამის შედეგებს იხილავს ქართული საზოგადოება. რა თქმა უნდა, მე ვიქნები დამოკიდებული ჩემი გუნდის წევრებზე, დამოკიდებული ვიქნები პოლიტსაბჭოზე, 44 000 წევრზე, რომელსაც აერთიანებს „ქართული ოცნება“, — განაცხადა კობახიძემ.

ექსპერტი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ კობახიძის პარტიის თავმჯდომარედ დანიშვნა ნიშნავს იმას, რომ ის ბიძინა ივანიშვილის ფავორიტია და ივანიშვილის აჩრდილი კაბინეტებში დარჩა.

— ირაკლი კობახიძე თავმჯდომარედ აირჩიეს. როგორ ფიქრობთ, მმართველი გუნდიდან რამდენად მართებული ნაბიჯია მისი დანიშვნა ამ პოზიციაზე?

— ირაკლი კობახიძის დანიშვნა მართებულია თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს. მთავარია, „ქართულ ოცნებაში“ პროცესები როგორ წარიმართება. ფაქტია, ირაკლი კობახიძე „ოცნების“ ლიდერია, ვინმეს მოსწონს თუ არ მოსწონს, ეს სხვა საკითხია. მინდა აღვნიშნო, რომ მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი იყო, ამასთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს იკავებდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ის აკადემიური წრიდან მოდის. ის არის კონსტიტუციონალისტი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი და მისი შეხედულებები ქართულ კონსტიტუციასთან დაკავშირებით ერთმანეთს არ ემთხვევა. ზოგადად მინდა ვთქვა, რომ კონსტიტუციისადმი მის მიდგომებს რასაც ვიცნობ, არის საკმაოდ მაღალი დონის.

საერთოდ, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეობის ოთხი კანდიდატი იყო — კალაძე, გახარია, თალაკვაძე და კობახიძე. პირველი სამი გადანაწილებულია მაღალ პოსტებზე. შესაბამისად, პარტიულ-იერარქიულ მოდელში, პარტიის თავმჯდომარე თავისუფალი ფიგურაა. ამიტომ, კობახიძის დანიშვნა მოულოდნელი არ ყოფილა.

— თუმცა, ირაკლი კობახიძე როგორც ოპოზიციაში, ასევე საზოგადოების ერთ ნაწილში არაპოპულარულია...

— რაც შეეხება ოპოზიციის შეფასებებს, ვერ დამისახელებთ კანდიდატურას, რომელიც ოპოზიციისთვის მოსაწონი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ასეთი კანდიდატი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. კონკურენტი პარტიის თავმჯდომარე რატომ უნდა მოგწონდეს?!

— ასევე, საუბარი მიმდინარეობს იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილის წასვლის წამიდან კობახიძე-კალაძე-გახარიას შორის „შავმა კატამ“ გადაირბინა და ლიდერობისთვის პაექრობა დაიწყო და მათი გუნდურობა ფასადური სახისაა...

— ამას ყველაფერს დრო აჩვენებს. დღეს, ივანიშვილის წასვლამ „ქართული ოცნება“ საკმაოდ მძიმე ვითარებაში ჩააყენა. მე არ ვიცი კალაძე-გახარიას ან კობახიძეს პარტიაში რა გავლენები აქვთ, მაგრამ, ჯერჯერობით, უნდა ითქვას, იმ დანაკლისის შესავსებად, რომელიც ივანიშვილის წასვლით არის გამოწვეული, პარტიის თავმჯდომარის დანიშვნა აუცილებელი იყო, რათა თუ დაპირისპირება მართლაც არის, გარეთ არ გამოვიდეს.

მეორე — თუ ქართული პოლიტიკის ტრადიციას გავითვალისწინებთ, ეს განხეთქილება რომც მოხდეს, არ მგონია კრიზისამდე მივიდეს. დაპირისპირების ფონზე, პარტიის სათავეში ვინც არ უნდა მოვიდეს, 77 მანდატი ეძნება. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ განხეთქილების შემთხვევაშიც კი, გამარჯვებულ ლიდერს უმრავლესობა ეყოლება. უმრავლესობა იმისა, რომ პოლიტიკურ კრიზისამდე ძვეყანა არ მიიყვანოს და ხელისუფლება შეინარჩუნოს. ვფიქრობ, თუ ეს დაპირისპირება განხეთქილებამდე მივიდა, „ქართული ოცნების“ გამარჯვებული ლიდერი უმრავლესობას შეინარჩუნებს.

— ლიდერი ახსენეთ და შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი კობახიძემ კალაძე-გახარია-თალაკვაძეს ლიდერობაში აჯობა და ის ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი პოლიტიკოსია?

— დარწმუნებული ვარ, რომ კობახიძე ივანიშვილის ფავორიტია. მის გარეშე კობახიძის დანიშვნა არ მოხდებოდა. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში ახალი თუ ძველი წევრების თაობაზეც, ყოველ შემთხვევაში, ივანიშვილი ინფორმირებული იქნებოდა. ამასთან ვიღაცამ ვიღაცას აჯობა, ამის თქმაც არ შეიძლება, რადგან არ ვიცით, რეალურად ეს დაპირისპირება არსებობს? არის კი ამაზე საუბარი? ჯერჯერობით ეს არ ჩანს.

— ბიძინა ივანიშვილის წასვლის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მან საზოგადოებას აჩვენოს თუ რა ხდება გუნდში მის გარეშე?

— ივანიშვილს არავისთან არაფრის დამტკიცება არ სჭირდება. ის „ქართული ოცნების“ უპირებო ლიდერი იყო. მისი მესამედ დაბრუნება ცოტა კომიკურ სახეს კი მიიღებს. მტერი და მოყვარეც იმას თვლიდა, რომ ივანიშვილი ყველაფრის გადამწყვეტი იყო. ვინმესთან რაიმეს დამტკიცება რაში სჭირდება?!

— მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, როგორ ფიქრობთ, ის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში მაინც ჩაერევა?

— ასეთი მოსაზრება არის. ვერ გეტყვით, ჩაერევა თუ არა, მაგრამ აქ საუბარია იმაზე, რომ ის ერთხელ უკვე წავიდა და ვიცოდით, რომ საჯარო სივრციდან წავიდა, თუმცა დარჩა ისე, როგორც იყო. კულუარებიდან პოლიტიკურ სიტუაციას მაინც მართავდა. ამჯერად არ ვიცი, ამბობს, რომ წავედი და მეტს აღარ ჩაერევიო... უნდა ვნახოთ და შევხედოთ. გამორიცხვით ვერაფერს გამოვრიცხავ. მათ შორის ვერც იმას, რომ მობრუნდება თუ არ მობრუნდება, რადგან ეს გარანტირებული არ გვაქვს... რასაც ვუყურებ, ივანიშვილის აჩრდილი ჯერჯერობით კაბინეტებში დარჩა!

FORGE

რთულ ვითარებას ზოგიერთი პარტიის გაქრობაც მოჰყვება!

— წლის ბოლოს პოლიტიკური ცვლილებებით შესვდა ოპოზიცია. ელენე ხოშტარიამ დატოვა საკუთარი პარტია და დამოუკიდებელ დრეიფში გადაეშვა, აღარაფერს ვამბობთ ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და, საერთოდ, გრიგოლ ვაშაძის ქმედებაზე, რომელმაც პოლიტიკური ტაიმაუტის აღება არჩია. ზოგისთვის პოლიტიკა მიზიდულობად რჩება, ზოგისთვის „განზიდულობად“. დრო ხომ არ მოჭამეს პოლიტიკურმა პარტიებმა და დამოუკიდებელ ცურვას ხომ არ ენიჭება უპირატესობა?

— რეალობა, რომლის წინაშეც დღეს დავდექით, არის გამოწვევა ოპოზიციისთვისაც და მმართველი პარტიისთვისაც. საბოლოო ჯამში, ეს არის პრობლემა საქართველოსთვის, რადგან გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ეროვნული ინტერესები, რომელიც ასეთ ვითარებაში ზიანდება. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, მათ სერიოზული პროცესი ელით წინ, რაც დაკავშირებული იქნება გადახალისებასთან... ხვალ შეიძლება მსგავსი რამ ვიხილოთ არა მხოლოდ ამ პარტიებში, არამედ სხვა პარტიებშიც. დარწმუნებული ვარ, აუცილებლად ბევრი რამის გადააზრების დრო დადგება „ქართულ ოცნებაშიც“, რადგან სხვანაირად ვერ მოხდება კრიზისის დაძლევა. პოლიტიკური კრიზისი არ არის მხოლოდ ის თემა, რომ რომელიღაც პარტია შევიდა პარლამენტში, ან არ შევიდა. ეს არის პრობლემების დაგროვება, რაზეც დიდი ხანია, ვლაპარაკობთ. ჩვენს საზოგადოებაშიც დიდია რადიკალიზაცია. საზოგადოებაშიც კლებულობს ნდობა პოლიტიკოსების მიმართ. ბევრი ფაქტორი ერთად დაგროვდა, ამ მოცემულობიდან რაღაც გამოსავალი უნდა მოიძებნოს, რისი თანმდევიც შეიძლება იყოს ზოგიერთი პარტიის საერთოდ გაქრობა, ან რამდენიმე პარტიის შეერთება, ახალი პარტიების ჩამოყალიბება. ეს ყველაფერი უნდა გავიაროთ ცივილურად, პროცესი უნდა დაბრუნდეს კონსტრუქციულ კალაპოტში, თორემ, თუ გავაგრძელეთ ისე, როგორც მივდივართ, ეს არის პოლარიზაციის და რადიკალიზაციის გზა.

**— ბოლო ორ კვირაში ოპოზიციურ ბანაკში ერთ-ერთ ინტენსიურ საკითხად ყარაბაღის ომის ბოლო ეტაპზე, ანუ ნოემბერ-დეკემბერში, ოპოზიციის ლიდერების ვიზიტი ჩანდა. ეს ვიზიტი ოპოზიციის ლიდერებმა ერთ-ერთ ინტერვიუში ერთ-ერთ ინტერესად, ერთ-ერთ ინიციატივად, ერთ-ერთ ფაქტად, ერთ-ერთ ... ...

გაასწრო თუ წავიდა, რომ დარჩეს?

ბიძინა ივანიშვილი „ოცნებობს, საკუთარი პარტიის დამარცხებაზე!

ცნობილ ქართველ პაროდისტს მერაბ გეგეჭკორს ძალიან დაკვირვებული თვალი აქვს. ამიტომ მის მიერ პიროვნებებისა და მოვლენების შეფასება ყოველთვის საინტერესოა.

კარგა ხნის წინ, შეხვედრისას, ვთხოვე მოეყოლა ეპიზოდები მისი ედუარდ შევარდნაძის „ყოფნის“ პერიოდიდან (მისი პაროდიები ედუარდ შევარდნაძის მწვავე, კრიტიკული, სასაცილო და საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი იყო). შემდეგ ვკითხე: ზოგადად პოლიტიკაზე რას იტყვიმეთქი! ამის მოსმენა შენგან მინდოდაო, მაგრამ კარგი, რადგან მთხოვ, გეტყვიო: „ცუდადაა საქმეო“. საგუთის გარეშე, ეს რა პასუხია-მეთქი. მე როდესაც ჩემს შეფასებას ვაკეთებ, ვასაგუთებ - უამრავი ფაქტით, მონაცემებით, მოვლენებით, ანალიზით. ამაზე მიპასუხა: „არა, საქმე ცუდად კი არა, ძალიან ცუდადააო“ და გააგრძელა: „ხელისუფლებაში ვერ ივოვი ადამიანს, რომელსაც საკუთარი „მეს“, საკუთარი შინაარსის გამომხატველი სახე ჰქონდეს, რომელსაც ყველა ამჩნევს, რომ შემდეგ მასზე იმუშაო და პაროდია შექმნაო“!

ეს იყო პროფესიული კუთხით დანახული რეალობა. ამის შემდეგ, მის მაგალითზე უფრო ხშირად ჩემი პროფესიის კუთხით შევხედე ადამიანებს, უპირატესად სახელისუფლებო და, საერთოდ, საჯარო საქმიანობის დროს.

სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტ-ეკონომიკური სფერო ძალიან ღარიბია პროფესიონალებით, რომელთაც ერთი მხრივ, აქვთ სათანადო კომპეტენცია და მეორე მხრივ, ახდენენ თავიანთი იდეებისა და პოზიციების შესახებ საზოგადოებასთან კომუნიკაციას. პარტიათა ლიდერები ხომ თავიანთი პოზიციების, აგრეთვე მოვლენების შეფასებისგან საერთოდ თავს იკავებენ, პროფესიონალებიც არ ახდენენ საჯარო სივრცეში არგუმენტებით მსჯელობას.

მაგალითად, სრული სიწყნარით ჩაიარა იმ ამბავმა, რომ **2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღებით, საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში ნომერ პირველ პრობლემად იქცა სახელმწიფო ვალის საკითხი. ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ალბათ უკვე მინიმუმ ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში, მისთვის მოცემულობა იქნება ჯერ იფიქროს სახელმწიფო ვალების მომსახურება — გასტუმრებაზე და შემდეგ სხვა დანარჩენ საკითხებზე. ვალების ეს ოდენობა ძირითადად დაგროვილია დღევანდელი ფავორიტი პოლიტიკური ძალების — „ნაცებისა“ და „ქოცების“ მმართველობის პერიოდში, თუმცა „ვალების ორმოში ჩავარდნის გარღვევა“ ბოლო ოთხ წელიწადში განხორციელდა.**

ვის უნდა შესჩივლო? ხელსაც ვერ ჩაიქნევ იმ მიზეზით, რომ „რუსთაველი მკვდარია“! რთულ სიტუაციაში ქვეყნის გადარჩენა გინდა მხარის დასაჭერად, გინდა საპაექროდ გამორჩეული ლიდერის ყოფნა, სახელმწიფოში მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის პერსონიზება. ეს აზროვნების გადარჩენაცაა! ხდება პერსონის ობიექტივიზაცია და მასზე „მიზმანება“ (ბავშვობიდან ამომტიტივტივდა ეს „გურული“ სიტყვა — ნიშნავს „მასზე სწორებას“) .

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან თითქმის მესამედი საუკუნის მანძილზე, ჰყავდა ლიდერები, რომელთა პიროვნული მასშტაბი მსოფლიო პოლიტიკოსთა შორის, მეტი იყო საქართველოს მასშტაბზე მსოფლიოს ქვეყნებს შორის. დარწმუნებული ვარ, უბედურებიდან გამოსავალიც იმაშია, რომ საქართველოს გაუჩნდეს მმართველობის კარგი სისტემა, როდესაც ქვეყნის მართვისთვის საჭიროა ჩვეულებრივი ადამიანობა, რწმენით შრომა, პატრიოტიზმი, პროფესიონალიზმი და წესიერება, და როდესაც მართვა განხორციელდება კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის საფუძველზე.

თუმცა, აქამდე რომ მივიდეთ, უნდა მოხდეს მინიმუმ ქვეყნის ინსტიტუციონალიზაცია და ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ-პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება. არ შეიძლება სამინისტრო იყოს ჭკვიანი ან შტერი, იმის მიხედვით, თუ როგორია მინისტრი. პირიქით, როგორიც არ უნდა იყოს მინისტრი, სამინისტრო უნდა იყოს ჭკვიანი!

სამწუხაროდ, მსოფლიო დონის ლიდერებმა საქართველოში თავიანთი წასვლის შემდეგ (მნიშვნელობა არ აქვს როგორ), ასეთი სისტემა ვერ დატოვეს. შესაბამისად, ყველა მათგანის მოღვაწეობა, ცალკეული ეპიზოდური წარმატებების მიუხედავად, საქართველოს მომავლიდან დანახული, ნეგატიურია.

და აი, ბოლო რვა წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტ-ეკონომიკური ცხოვრების ლიდერი, **ბიძინა ივანიშვილიც, ასეთი სისტემის შექმნის გარეშე, მიდის პოლიტიკიდან, ზემოთქმულიდან გამომდინარე — წარუმატებელი! ეს ძალიან გულდასაწყვეტია, რადგანაც მას ყველა შანსი ჰქონდა ასეთი სისტემის შესაქმნელად ისევე, როგორც ყველა მის წინამორბედს და ვერც ერთმა ვერ შეძლო ქართული სახელმწიფოებრიობის შეუქცევადობის უზრუნველმყოფელი პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური ინსტიტუციური სისტემის შექმნა.**

წავიდა, მაგრამ რა დატოვა?

საქართველოს სახელმწიფოს მომავლის თვალსაზრისით, არაფერი — ყველა პრობლემა, რაც მემკვიდრეობით მიიღო ან შეინარჩუნა, ან გააღრმავა! უფრო მეტიც, ისე წავიდა, რომ შუქი დატოვა უკანა ოთახში ანთებული — „შუქის ჩაქრობა დაავიწყდა“ (პოლიტიკური ალეგორია **ზ. თოიძის**, სხვა შემთხვევისთვის, მაგრამ აქაც მოერგო უნივერსალობის გამო)!

წასვლა 2

ბიძინა ივანიშვილის წასვლის მოტივებზე და ვერსიებზე ბევრი ითქვა და ითქმება. **უმთავრესი ინტერესი იმაშია, მართლა წავიდა თუ არა?** მე დავიწყებ იქიდან, რომ ამ ეტაპზე ფაქტია, **ბიძინა ივანიშვილი** საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური მმართველობის ფორმალიზებული სისტემიდან გავიდა. **ამის შემდეგ ის დაუბრუნდება არაფორმალური მმართველობის ნაცად მეთოდს („სოლოკრატიას“), თუ ნამდვილად დაიწყებს ცხოვრებას „2011 წლამდელი კერძო ცხოვრების წესით“?**

ეს მალე გამოჩნდება

ბიძინა ივანიშვილის ყველა წინამორბედს ჰქონდა თანამდებობიდან წასვლა - დაბრუნების ეპიზოდები (რეკორდსმენი **ედუარდ შევარდნაძეა**: საბჭოთა კავშირის პერიოდის ჩათვლით მინიმუმ 8-ჯერ განახორციელა პოლიტიკური თანამდებობიდან წასვლა - დაბრუნება). **აღარ ვარ, ბიძინა ივანიშვილისთვის შეუძლებელია. შეუძლებელია როგორც პიროვნულად, ისე მისი მატერიალური აქტივების გამო!**

ბიძინა ივანიშვილი ვერ გაემიჯნება, მისი სურვილის მიუხედავად, ვერც ერთ იმ საქმიანობას, რაც განახორციელა მისი ხელმძღვანელობის დროს პარტია **„ქართულმა ოცნებამ“**. ის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, კიდევ დიდხანს არის პასუხისმგებელი იმ საქმიანობაზე, რომელსაც ეწეოდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე. ძნელი დასაჯერებელია, რომ **„ქართული ოცნების“** საქმიანობა მომავალში, მის მიმართ **ბიძინა ივანიშვილის** სრული ნეიტრალობის შემთხვევაშიც კი, მას მისცემს შესაძლებლობას, დადგეს პოლიტიკის გარეთ.

ისიც შეუძლებლად მიმაჩნია, რომ საზოგადოებრივი რეზონანსის მქონე მოვლენები და აქტივები (პუშკინის სკვერი, საყდრისი და სხვ.) კიდევ მრავალჯერ არ გახდეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაზე „მიჯაჭვის“ საფუძველი.

ამდენად, **ბიძინა ივანიშვილის** ქართული პოლიტიკიდან წასვლა შეუძლებელია. ზედმეტად ოპტიმისტურია მისი ნათქვამი: **„შემიძლია მშვიდად გავეცალო პოლიტიკას“...** აქ უკანა გზა ჩახერგილია! ერთადერთი სივრცე კერძო ცხოვრებისთვის შეიძლება წარმოიშვას, თუ მომავალში ის მართლა არ შეინარჩუნებს „სოლოკრატიულ“ სისტემას და პოლიტიკაში მიიღებს მონაწილეობას იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მისი წარსული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი საქმიანობა, მისი, როგორც მოქალაქის, უფლება-მოვალეობები.

გაქცევა?

ბიძინა ივანიშვილის წასვლა საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაში მრავალმხრივ შეიძლება შეფასდეს, გაჩნია, რომელი კუთხით შეხედავ. თუ შეხედავ 65 წლის ასაკის მიღწევის კუთხით და **„ახალგაზრდების წინ წამოწევით ნაკარნახები“**, ასპარეზის დათმობის არგუმენტით, რა თქმა უნდა, ამის გულწრფელობის დაჯერება ძალიან ძნელია! ყოველ შემთხვევაში, მე, **ბიძინა ივანიშვილზე** ასეთი შეხედულების არ ვარ! თუ ის ასეთი შეხედულებისაა მისი განცხადების ადრესატზე — ქართველ ხალხზე — ეს მისი გადასაწყვეტია. ახალგაზრდობის წინ წამოწევა პარტიაში გადადგომით შექმნილი ერთი გამოთავისუფლებული ადგილით მოხდება? მოკლედ, ძალიან ისეთი არგუმენტია, თითქოს მზრუნველობით აღვსილი, სინამდვილეში იმდენად „თვალში შესაყრელი ნაცრის ფუნქციით“, რომ კალამიც კი გაბრაზდა და ვერ ვაჩერებ!

ბიძინა ივანიშვილის წასვლა უფრო ჰგავს რაღაც მოსალოდნელი პროცესებისადმი თავის არიდებას, ვიდრე, ახალგაზრდებისთვის ასპარეზის დათმობას.

თუ ეს, იმ პროცესებისადმი თავის არიდებაა, რომელიც ხელისუფლების არასწორი საბიუჯეტო და ეკონომიკური პოლიტიკის გამო, დიდი ალბათობით, უკვე აპრილის თვეში სერიოზულ საბიუჯეტო-ეკონომიკურ კატაკლიზმებს გვიქადის, მაშინ, ეს **„ხელის დაბანაა“**.

თუ ეს, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის ჩიხიდან გამოყვანისთვის რაღაც შეთანხმებული ნაბიჯია, როდესაც წერილის კონტექსტით, „ქართული ოცნება“ ოპოზიციური პარტია უნდა გახდეს - მაშინ ეს გაქცევაა!

წერილში თითქოს აზრის შესაქმნელად, არა ერთხელ საუბარია „ქართული ოცნების“ ოპოზიციაში გადასვლაზე.

თუ ეს გამოწვეულია საგარეო ფაქტორებით. უკვე ცნობილია, რაღაც ისეთი, რომელიც მხოლოდ მან იცის, მაშინ ეს გასწრებაა!!!

უფრო ბოლოა!

საქართველოს უახლესი ისტორიიდან ცნობილია ასეთი წასვლა, მაგრამ არა a priori, არამედ, posteriori, უკვე მოვლენების შემდეგ. საუბარია 2003 წლის 23 ნოემბერს **ე.შევარდნაძის** გადადგომასა და ჟურნალისტების შეკითხვაზე, **„სად მიდიხართ“,** მის პასუხზე: **„სახლშიიი“**. ე. შევარდნაძის გადაწყვეტილებაში იყო მის მიერ დასწრებაზე მოქმედების ელემენტი. კერძოდ, პროცესების დასარეგულირებლად საქართველოში მყოფი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **იგორ ივანოვი** ამ დროს და სხვა სცენარის შესათანხმებლად, თვითმფრინავში იჯდა და მიფრინავდა ბათუმში **ასლან აბაშიძესთან.**

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არსებობს რაღაც აუტსაიდერული მოტივატორი. ამ გაგებით, ნიშანდობლივია 2021 წლის 10 იანვარს, „ამერიკის ხმის“ ქართულ გადაცემაში (ანუ სპეციალურად ქართველების საყურადღებოდ თქმული) აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის **გრეგორი მიკსმის** განცხადება: **„ქართველ ხალხს ვეტყოდი, დადექით ერთად, რათა უზრუნველყოთ, რომ შენარჩუნდეს დემოკრატია და ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა მოხდეს“.**

თვალში საცემია, რომ ხშირად საუბარია ძალაუფლების გადაცემაზე და დასავლეთის წარმომადგენლები არ საუბრობენ ახალ საპარლამენტო არჩევნებზე. **ხომ არ არის ჩაფიქრებული რაიმე მექანიზმი არსებული არჩევნების ლეგიტიმურად ცნობის ფარგლებში პოლიტიკურ ძალთა გადაადგილებისთვის საქართველოს პარლამენტში?!** როგორც ცნობილია, **„პატრიოტთა ალიანსის“** სიით პარლამენტში შესულმა დეპუტატებმა უკვე შექმნეს 9 იანვარს ახალი პარტია **„ევროპელი სოციალისტები“.**

ეს გამოჩნდება პარტიებს შორის საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის შუამდგომლობით გამართულ უახლოეს კონსულტაციებზე.

ბიძინა ივანიშვილის მოქმედებაში აჩქარება აშკარაა. **„ქართულმა ოცნებამ“** ყრილობა ახალი თავმჯდომარის ასარჩევად 16 იანვარს გამართა!

შეიძლება ეს იყოს რაიმე კავშირში აშშ მიმდინარე პროცესებთან? კერძოდ, 20 იანვარს, ახალი პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ინაუგურაციასთან? თუ არის, მაშინ კიდევაა ერთი კითხვა - **ფაქტია, „რაღაცები“ საქართველოში უნდა დამთავრდეს ინაუგურაციამდე, მაგრამ ეს კეთდება ახალი ადმინისტრაციის იმპულსებით, რომ ყველაფერი მათ მოსვლამდე**

დამთავრდეს, თუ ძველი ადმინისტრაციის მინიშნებით, ყველაფერი მათ წასვლამდე მოხდეს. ვინ უკვეთავს მუსიკას: ვინც მოდის, თუ ვინც მიდის?

ეს საკითხები ყველასთვის მნიშვნელოვანია: დაწყებული ინვესტორებით და დამთავრებული საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულით, რომ ოდნავ მეტად პროგნოზირებადი გახადოს მის ირგვლივ შექმნილი გარემო.

რადგანაც, პოლიტიკური კულტურა საქართველოში დაბალია, განსაკუთრებით მმართველ წრეებში, როდესაც მათი ნათქვამის ჭეშმარიტი შინაარსი ცხრა ტყავშია გახვეული, გამოსავალი არსებული მასალის სტრიქონებს შორის კითხვა და შესაძლო ვარიანტების გათვლაა.

ივანიშვილი ხალხის მადლიერია, ხალხი?

წერილში **ბიძინა ივანიშვილი** ამბობს: **„პოლიტიკიდან მივდივარ ამაყი, გამარჯვებული და ხალხის მადლიერი“**. ეს სუბიექტური განწყობაა და ვერ შეედავები. თვითონ ხალხის მადლიერია, მაგრამ ხალხი მადლიერია მისი? ამის საჩვენებლად, წერილში, მოცემულია მსჯელობა, თუ რა თქვა **ბიძინა ივანიშვილმა** 2011 თუ 2012 წელს და რა შეასრულა.

ლოგიკამ მოითხოვა დაზუსტება: რაც გაკეთდა, ეს მარტო ბიძინა ივანიშვილზე უნდა ითქვას, თუ **„ქართულ ოცნებაზე“** მისი ხელმძღვანელობით?! ამის გამო გაჩნდა წერილის დანართი (ცოტა უცნაური ფორმაა ამ სტილის წერილებისთვის).

ეს დანართი შედგენილია მიზანმიმართულად **„ქართული ოცნების“** საქმეების წარმოსაჩენად, რაშიც ცუდი არაფერია. **სამწუხაროდ ის, იმის 10 პროცენტსაც ვერ წარმოაჩენს, რა პოზიტივსაც ადგილი ჰქონდა „ქართული ოცნების“ განვლილი 8-წლიანი მმართველობის დროს.** იმის დასტურს კი წარმოადგენს, თუ რა დონის კომპეტენციაა ხელისუფლებაში. ალბათ, არავინ არ დაიწყებს მტკიცებას, რომ ასეთი ანგარიშგებანი პარტიის თავმჯდომარის ან პარტიაში მეორე რიგის პირების მიერ დაიწერა. ზოგიერთის გასაკვირად უნდა ვთქვა, რეიტინგებით მსჯელობა ვიკიპედიით დაწერილი მონოგრაფიის ავტორის მსგავსი დონის კომპეტენციის მაჩვენებელია.

თუ რა გაკეთდა 8 წლის განმავლობაში **„ქართული ოცნების“** მიერ, ეს დიდი და კონკრეტული თემაა. მასში უნდა აისახოს რამდენი დრო და ფული დახარჯა **„ქართული ოცნების“** ხელისუფლებამ და რა გაკეთდა იქიდან, რაც მთავრობის იმ პროგრამებში ეწერა, რომლითაც საქართველოს პარლამენტი მას ნდობას უცხადებდა.

როგორ შესრულდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №400 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“?

პანდემიის გამო არ შესრულდა 2020 წლის გეგმა, მაგრამ რატომ არ მოხდა მასში შესაბამისი კორექტირება, რომ ორიენტირები პოლიტიკისთვის ყოფილიყო სწორი? ის რომ არ მოხდა ჩასწორება, იმაზე უარესი მოვლენის მაჩვენებელია, ვიდრე სტრატეგიის არ შესრულება. აქედან ჩანს, რომ პროცესები თვთდინებაზეა მიშვებული, შედეგი იქნება ის, რაც იქნება, ხოლო, შემდეგ ანგარიშგებისთვის ამოკრეფ იმ ერთეულ რეიტინგებს, რომელიც ქვეყანას იმ მომენტისთვის სახარბიელო ექნება ათას სხვა არასახარბიელო რეიტინგს შორის. წარმოგიდგენიათ ჩინეთის კომპარტიის ყრილობაზე, ან აშშ კონგრესის სხდომაზე რომ გამოცხადდეს საქართველო გვისწრებს რაღაც რეიტინგითო? ეს ისეთი დონეა ანალიზის, როგორც ენის დათვალიერება, ან მკერდზე თითების დაკაკუნება მაგალითად, კომპიუტერულ ტომოგრამასთან!

სიჩქარე ეტყობა ტექსტს ყველაფერში: ტექსტიდან მკითხველი ვერ გაიგებს, ავტორი 2021 წლის 11 იანვარს რატომ საუბრობს „17 წლის განმავლობაში ქართველი ხალხის გამოცდილებაზე“ ან „დამოუკიდებლობის მოპოვებიდან“ „გამოვლილ ოც წელიწადზე“? მაშინ როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან (1991წ.) უკვე 30 წელიწადია გასული?

ბიძინა ივანიშვილი არ აფასებს, თუ რას გრძნობს, როგორია მისდამი ქართველი ხალხის დამოკიდებულება. ის აღნიშნავს შედეგებს:

– ვერ იძნა მიღწეული პროგრესი ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში;

– არის ცუდი ეკონომიკა;

– დაუძლეველია სიღარიბე;

– ვერ მოხდა სიცრუის გაძრობა საინფორმაციო ველიდან...

ვერც განსახილველი წერილი და დანართი აშორდა მონაცემების შელამაზების ცდუნებას.

მხოლოდ ერთ ფრაგმენტს შევეხები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტურიზმის სექტორში კატასტროფული მდგომარეობაა – პანდემიამ ტურიზმის სექტორში 70-80%-იანი ვარდნა გამოიწვია. დანართის ავტორები ამ ფაქტის გაპოზიტიურებას ახდენენ. ტექსტში ნათქვამია: „ორნახევარჯერ გაიზარდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები – 2012 წლის 1.4 მილიარდი აშშ დოლარიდან 2019 წელს 3.3 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. რაკი ამ ნიშნულს ერთხელ უკვე მივაღწიეთ, პანდემიის შედეგად **დაკარგულ პოზიციას პოსტ-კრიზისულ პერიოდში მალევე აღვიდგენთ“**(ხაზგასმა ჩვენია – მ.ჯ.).

მომავალში რასაც იზამ, 2021 წლის ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასებასთან რა კავშირი აქვს? ასეთი მიდგომით ავტორს წარმატებით შეეძლო, ჩამოეთვალა საჭოთა კავშირის დროს არსებული პოზიციები და გაეტარებინა 2021 წლის შედეგების შეფასებისას, როგორც მომავალში აღსადგენი!

მთავარი დამსახურება

ბიძინა ივანიშვილის უდიდესი ისტორიული დამსახურება ისაა, რომ მისი საქმიანობის შედეგად ქართველი ხალხი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ერთი კაცი, როგორიც არ უნდა იყოს მისი შესაძლებლობები (ეროვნული ლიდერი – საბჭოთა კავშირის დანგრევის ავტორთაგანი, მსოფლიო დიპლომატი – ბერლინის კედლის დამნგრევი, მსოფლიოში სახელმწიფოების მოწყობის აქტივისტი – საქართველოში სახელმწიფო დათრგუნვის მანქანის შემქმნელი, მსოფლიოში უმდიდრეს ადამიანთა კლუბის წევრი – საქართველოს სოლოკრატი...) ვერ გაამდიდრებს, ხოლო ხელისუფლება – მფლანგველი და უგუნური – გააღატაკებს ქვეყანას, რომელი მათგანიც არ უნდა იყოს მის სათავეში.

„ოცნებას“ ტოვებს, ოცნებას იტოვებს...

ბიძინა ივანიშვილი **„ქართული ოცნების“** პარტიიდანაც გადის და ამტკიცებს, რომ მას ერთი ოცნება რჩება. ის წერს: **„საქმიანობა მომავლის დიდ იმედს მისახავს. დემოკრატიის კანონზომიერება ისეთია, რომ აუცილებლად გამოჩნდება კეთილსინდისიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც განათლებით, ქვეყნის გაძღოლის უკეთესი უნარითა და ინტელექტუალური პოტენციალით აჯობებს „ქართულ ოცნებას“ და ამ უკანასკნელს მოუწევს ოპოზიციაში გადანაცვლება. გაგიკვირდებათ და ესაა ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი სამომავლო ოცნება. მჯერა, რომ „ქართული ოცნება“ დაიკავებს ღირსეულ ადგილს პოლიტიკური ოპოზიციის ავანგარდში და ეს პერიოდი იქნება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ქვეყანაში დემოკრატიის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით“** .

გაუგონარი პოლიტიკური ოცნებაა საკუთარი პარტიის დამარცხების შესახებ! და მაინც, თუ პოლიტიკური ოცნება, თანაც ახალი პარტიის გაჩენისა, რომელიც დაამარცხებს „ქართულ ოცნებას“, ბიძინა ივანიშვილის „ყველაზე მნიშვნელოვანი სამომავლო ოცნებაა“, ეს ნიშნავს პოლიტიკაში დარჩენის ქვეცნობიერ განაცხადს, ოღონდ, ახალი პოლიტიკური ტელეპორტირების გზით.

მიხეილ ჯიბუტი,
პროფესორი
ტელ: 577400555

დღეს „ქართული ოცნება“ მომგებიან პოზიციაშია

ბიძინა ივანიშვილის მიერ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის თანამდებობის დატოვებამ და საერთოდ, პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებამ, პოლიტიკურ და ანალიტიკურ წრეებში ბევრი ვარაუდი გააჩინა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ივანიშვილის წასვლით მმართველი გუნდის რეიტინგი უფრო მეტად დაეცემა. პარტიაში შესაძლოა „კლანური“ დაპირისპირება და გარკვეული თანამდებობისთვის ბრძოლა დაიწყოს.

ოპოზიციური ერთ-ერთი ტელეარხის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ქვეყნიდანაც მიდის და მისი ერთგვარი თავშესაფარი საფრანგეთი გახდება. მათივე ცნობით, პარტიაში უკვე დაიწყო „კლანური“ დაპირისპირება: „პარტიის ახალი თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** აპირებს პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია** თბილისის მერით **კახა კალაძით** ჩაანაცვლოს. გახარიას ერთგვარი ჩამოშორების გეგმა კი გაზაფხულამდე აღსრულდება“.

ექსპერტთა ერთი ნაწილი მსგავს სცენარს არ გამორიცხავს, თუმცა მიიჩნევს, რომ ეს „ქართული ოცნებისთვის“ წამგებიანი იქნება, ამასთან ერთად, ოპოზიციის წისქვილზე დაასხამს წყალს. მეორე ნაწილი თვლის, რომ ოპოზიციაში არსებული დაპირისპირების ფონზე, რაც მმართველი გუნდისთვის დადებითი შედეგის მომტანია, „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირება ნაკლებად არის მოსალოდნელი.

ამასთან, საუბარია იმის შესახებაც, რომ გიორგი გახარიას ჩამოშორება ხელისუფლების რეიტინგს დაბლა დასწევს, თანაც, ეს იმის ფონზე, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პრაქტიკულად აღარ ასოცირდება „ქართულ ოცნებასთან“

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ მაშინ, როდესაც ოპოზიციაში დაწყებულია ერთგვარი დაყოფა და პარტიებს შორის დაპირისპირება, მოსალოდნელი არ არის „ქართულ ოცნებაში“ დაიწყოს „კლანური“ დაპირისპირება, რადგან ეს ოპოზიციას ხელს მისცემს და უარყოფითად იმოქმედებს ხელისუფლებაზე.

ამასთან, რამაზ საყვარელიძე გამორიცხავს, რომ ბიძინა ივანიშვილი საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდეს, რადგან ეს ერთგვარი გაქცევის შთაბეჭდილებას შექმნის.

„მეეჭვება, რომ ივანიშვილმა საცხოვრებლად აირჩიოს რაიმე სხვა ადგილი. მაშინ მართლა გაქცევის იერი ექნება ბევრ რამეს. ამიტომ საფრანგეთში გადასვლა საეჭვო ვერსიაა. მეორე მხრივ, საფრანგეთში გადავა თუ არა, ამ ფაქტს არანაირი კავშირი არა აქვს იმასთან, რა მოხდება თვითონ პარტიაში. იგი ისედაც დისტანცირებულია პარტიისგან.

„ოცნებისთვის“ ნებისმიერი კატასტროფული სცენარი, ოპოზიციას ხელს აძლევს. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია გახარია „ოცნების“ რეიტინგისთვის. გახარიამ აღმასრულებელ ხელისუფლებას კარგად მოუარა და ვინც კარგად უვლის, საზოგადოების მიერ იმის შეცვლა, არ აღიქმება დადებითად. არ მგონია, რომ ეს თეორიები, შეთქმულების, დაპირისპირების და ა.შ. ამ ეტაპზე ამუშავდეს.

გავიხსენოთ, თვითონ ოპოზიციურ პარტიებში დაპირისპირებები გაიზარდა მას შემდეგ, რაც ოპოზიციური პარტიები წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდნენ. დღეს „ქართული ოცნება“ მომგებიან პოზიციაშია, რა დროს დაპირისპირებზეა საუბარი?!“ – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

* * *

ანალიტიკოსი ნიკა ჩიტაძე ორ ვარიანტს განიხილავს: პირველი ვერსიის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილი მიდის ქვეყნიდან და „მშვიდ ცხოვრებას“ ირჩევს. მეორე ვერსიის თანახმად კი, პარტიის ყოფილი თავმჯდომარე საქართველოში რჩება და ფარულად ეხმარება „ქართულ ოცნებას“, რადგან თუკი მმართველი გუნდი ძალაუფლებას დაკარგავს, „ივანიშვილს ნამდვილად არ დაედგომება საქართველოში“.

„ერთ-ერთი ვერსიით, ივანიშვილი შეესაძლოა გადავიდეს საფრანგეთში საცხოვრებლად, რადგან მას სურს, რომ შედარებით უდარდელად და წყნარად იცხოვროს, შედარებით ნაკლები პრობლემა ჰქონდეს. პოლიტიკაში ყოფნის დროს მას უწევდა გარკვეულ „კლანებს“ შორის ბრძოლა. იგი შესაძლოა გადავიდეს საფრანგეთში და არ ჩაერიოს პოლიტიკურ პროცესებში.

მეორე ვარიანტის თანახმად კი, ის შეიძლება დარჩეს საქართველოში და ფარულად მაინც გაუწიოს დახმარება „ქართულ ოცნებას“. ივანიშვილი ყველანაირად არის დაინტერესებული, რომ „ოცნებამ“ შეინარჩუნოს ძალაუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ნამდვილად არ დაედგომება საქართველოში.

თუ წავიდა, „ოცნების“ ფარგლებში ადგილი ექნება დაპირისპირებას. „ოცნების“ ფონზე, გახარია ძლიერი ფიგურაა. შესაძლებელია შიდა „კლანურ“ დაპირისპირებას ჰქონდეს ადგილი. გარკვეულწილად, გახარიას წასვლა „ოცნების“ რეიტინგს დასწევს, მაგრამ ისედაც შეიძლება დაეცეს ივანიშვილის წასვლის გამო.

„ქართული ოცნება“ მაინც ივანიშვილთან ასოცირდებოდა და 2012 წელს სწორედ ივანიშვილის ფაქტორის გამო მისცა ხმა ხალხმა, ასევე იყო 2016 წელსაც. „ოცნების“ რეიტინგი დაეცემა ივანიშვილის წასვლის გამო. გახარია, მათ შორის ვინც „ოცნებაშია“, გაცილებით ძლიერ ფიგურად მიიჩნევა, უფრო სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად, ვიდრე ირაკლი კობახიძე“, – განაცხადა ნიკა ჩიტაძემ.

ნიკო ჩოხელი

ერმა თავი უნდა გადაირჩინოს და გამრავლდეს და არა, ძაღლებს გადაჰყვეს!

რა ჯდება ძაღლების მოვლა-პატრონობა?!

ძაღლების მოვლა-პატრონობა საკმაოდ ძვირი უჯდება მოსახლეობასა და სახელმწიფოს. ერთი ძაღლის გამოკვებისათვის საშუალოდ თვეში 200 ლარი მაინც არის საჭირო, ხოლო 35 ათასი ძაღლისთვის 7 მილიონი ლარი. წელიწადში ეს თანხა 84 მილიონ ლარს შეადგენს. ამასთან, პროფილაქტიკის მიზნით, სავალდებულოა როგორც ოჯახის, ისე მაწანწალა ძაღლები წელიწადში ერთხელ აიცრას.

ერთი აცრა 15 ლარი ღირს. ამდენივე თანხა ჯდება მაწანწალა ძაღლის დაჭერა. სულ ამ მიზნით 2 300 ათასი ლარი იხარჯება. ამავე დროს, ძაღლების მიერ დაკბენილი, დადორბლილი და დაკაწრული პაციენტებისთვის ვაქცინაციის სრული კურსის ჩატარება, აგრეთვე, ტეტანუსზე აცრა, რომელიც 70 ლარი ღირს და ბევრ დაკბენილ პაციენტს სჭირდება, დაახლოებით 900 ათასი ლარი ჯდება. საკმაო თანხას იხდიან ლეკვების შესაძენად – ძაღლის ზოგიერთი ჯიშის ლეკვში 5 ათას და მეტ ლარსაც. განსაკუთრებით დიდი თანხა ჯდება ძაღლების თავშესაფრების შენახვა. გარკვეული თანხა იხარჯება ძაღლების შესაკრეჭად, დაავადებული ძაღლების ექიმებთან ვიზიტისათვის და სხვ. გარკვეული რაოდენობით თანხას მოსახლეობა მაწანწალა ძაღლების გამოსაკვებადაც ხარჯავს. მარტო თბილისში, ძაღლების მოვლა-პატრონობისათვის დაახლოებით 100 მილიონი ლარი იხარჯება და ეს თანხა ყოველწლიურად იზრდება ძაღლების რაოდენობის ზრდასთან ერთად! ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებშიც დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა. ისიც სათქმელია, რომ ცხოველების დასაცავად, მათ გასამრავლებლად სერიოზული გრანტები მოდის. როგორც ჟურნალისტი ბაკურ სვანიძე სამართლიანად აღნიშნავს, ზოგიერთები თემას განგებ „აგორებენ“, რაც შეიძლება მეტი გრანტის მოსაპოვებლად.

სხვა მხრივაც ძაღლები დიდ ზიანს აყენებენ მოსახლეობას. გამოიანგარიშეს, რომ, მაგალითად, ევროპაში ძაღლებმა და კატებმა 2010-2014 წლებში, ხუთ წელიწადში 2,1 მილიარდი ევროს ღირებულების ციფრული ტექნიკა „შეჭამეს“. ისინი ღეჭავენ და აზიანებენ ტელეფონებს, ნოუთბუქებს და ა.შ. სიტყვამ მოიტანა და შემდეგიც უნდა აღვნიშნოთ. ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე უჩვენეს ამერიკული მოკლემეტრაჟიანი ფილმი, სადაც ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა 6 წლის განმავლობაში ბავშვი არ იყოლიეს იმის გამო, რომ მეტად აგრესიული კატა ჰყავდათ და ეშინოდათ, ახალშობილისთვის კატას არაფერი დაეშავებინა. შემდეგ მათ ექიმს მიმართეს, როგორმე ჩაეცხროთ აგრესია კატისთვის. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენთან ძაღლებისადმი ასეთმა დიდმა სიყვარულმა გარკვეულწილად მაინც შეამცირა შობადობის შემთხვევები. როდესაც ძაღლი ოჯახის წევრად მიაჩნიათ, ძნელია სხვაგვარი ახსნა მოძებნო.

საავალო დემოგრაფიული ვითარება

იმ დროს, როდესაც ჩვენს მოსახლეობას ძაღლების მოვლა-პატრონობაზე მარტო თბილისში 100 მილიონზე მეტი ლარი ეხარჯება წელიწადში, კატასტროფულად მცირდება შობადობა და მოსახლეობის რაოდენობა. თითქმის 10 წელია გულისტკივილით ვწერ, ეკონომიკური პირობები შესამჩნევადაც რომ გაუმჯობესდეს, შობადობა კიდევ რამდენიმე წელიწადი მაინც შემცირდება!. ამის მიზეზი გახლავთ:

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები საქართველოში 2020 წლის პირველ ნახევარში

რეგიონები	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მატება-კლება	ქორწინება	განქორწინება	ერთი განქორწინებაზე მოსული ქორწინება
საქართველო	22142	23448	-1306	6 387	3 441	1,8
თბილისი	7365	6401	+964	1822	1273	1,4
აჭარა	2659	1778	+881	665	241	2,8
გურია	530	883	-303	184	85	2,2
იმერეთი	2794	4081	-1287	1073	626	1,7
კახეთი	1794	2207	-413	455	228	2,0
მცხეთა-მთიანეთი	472	670	-198	120	57	2,1
რაჭა-ლაჩხუმი და ქვ.სვანეთი	120	395	-275	56	26	2,2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1582	2437	-855	598	343	1,7
სამცხე-ჯავახეთი	805	871	-66	313	82	3,8
ქვემო ქართლი	2599	2142	+457	682	285	2,4
შიდა ქართლი	1422	1633	-211	419	195	2,1

1980-იან წლებში (1980-1989 წლებში) 10 წელიწადში, დაიბადა 455 ათასი გოგონა (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში დაბადებულთა გამოკლებით), ხოლო 2000-იან წლებში, ისევ 10 წელიწადში, დაიბადა 236 ათასი გოგონა! 1980-იან წლებში დაბადებულმა გოგონებმა თითქმის დაამთავრეს ფერტილური პერიოდი, ანუ ცხოვრების ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც მათ აქვთ ბავშვის გაჩენის უნარი. ქალის ფერტილური პერიოდი არის 15-49 წლები, ანუ იგი შეადგენს საშუალოდ 35 წელიწადს. თანაც, ფერტილური პერიოდის ბოლოს ისინი ძალიან მცირე რაოდენობით აჩენენ ბავშვებს. მაგალითად, 2015 წელს ქვეყანაში 45-49 წლების ასაკის ქალებმა მხოლოდ 144 ბავშვი შობეს! 2000-იან წლებში დაბადებული გოგონები კი ამჟამად შედიან ფერტილურ პერიოდში და ბუნებრივია 236 ათასი გოგონა გაცილებით ნაკლებ ბავშვს შობს, ვიდრე 455 ათასი გოგონა. ახლახან გამოქვეყნდა 2020 წლის პირველი ნახევრის ჩვენი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები და უაღრესად მძიმე მონაცემები მივიღეთ: დაიბადა 22142 ბავშვი და გარდაიცვალა 23448 კაცი. ამრიგად, მოსახლეობის ბუნებრივმა კლებამ 1306 კაცი შეადგინა, ანუ 1306 კაცით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა მაშინ, როდესაც 1990 წლამდე მოსახლეობის ბუნებრივი მატება 40 ათას და 70 ათას კაცსაც კი უდრიდა. ბოლო, თითქმის 200 წლის განმავლობაში, რაც დაბადებისა და გარდაცვალების შემთხვევათა აღრიცხვა წარმოებს, ქვეყანაში მოსახლეობის ბუნებრივი კლება არ ყოფილა. დიდი სამამულო ომის დროსაც კი (1941-45 წლებში) ბუნებრივმა მატებამ 135 ათასი კაცი შეადგინა (1941 წელს – 52 ათასი კაცი, 1942 წელს – 29 ათასი, 1943 წელს – 7 ათასი, 1944 წელს – 17 ათასი და 1945 წელს – 30 ათასი კაცი). მოსახლეობის თითქმის ნულოვანი მატება იყო მხოლოდ 2003 წელს – 139 კაცი. შემდეგ წლებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა. 2019 წელს ბუნებრივმა მატებამ 5 ათას კაცს გადააჭარბა.

2020 წლის მეორე ნახევარში რაიმე არსებით ცვლილებებს არ უნდა მოველოდეთ. საერთოდ, წლის მეორე ნახევარში დემოგრაფიული მაჩვენებლები უკეთესია მოსახლეობის ბუნებრივი მატების თვალსაზრისით, ვიდრე წლის პირველ ნახევარში, კერძოდ, მეორე ნახევარში მეტი ბავშვი იბადება და ნაკლებია გარდაცვალების შემთხვევები. შესაბამისად, იზრდება ბუნებრივი მატება, მაგრამ არა იმ ოდენობით, რომ ჩვენს შემთხვევაში, წლის პირველ ნახევარში ბუნებრივი კლება (1306 კაცი) გადაფაროს.

2020 წელს დაბადებულთა რაოდენობა, სავარაუდოდ, მხოლოდ 45 ათას ბავშვს მიაღწევს, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. მაგალითად, 1940 წელს საქართველოს მოსახლეობა 3612 ათას კაცს უდრიდა, ხოლო დაბადებულთა რაოდენობა 100.060 ბავშვს. მარტო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 2016-2020 წლებში, დაბადებულთა რაოდენობა 15 ათასით შემცირდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის, აჭარისა და ქვემო ქართლის გარდა, ყველა რეგიონში მოსახლეობის ბუნებრივი კლება აღინიშნება, განსაკუთრებით იმერეთში. აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ კორონავირუსის პანდემიის შედეგად მიმდინარე და განსაკუთრებით მომავალ წელს, მნიშვნელოვნად შემცირდება შობადობა!

ბოლო წლებში იზრდება განქორწინებათა რაოდენობაც. სახეზე გვაქვს ოჯახის კრიზისი. 2020 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის მასშტაბით ერთ რეგისტრირებულ განქორწინებაზე 1,8 ქორწინება მოდიოდა. თბილისში უკვე თითქმის ერთ განქორწინებაზე ერთი ქორწინება მოდის. მართალია, წლის მეორე ნახევარში ქორწინებათა რაოდენობა იზრდება, მაგრამ პარალელურად განქორწინებათა რაოდენობაც იმატებს. ამ მხრივ 2020 წლის მეორე ნახევარში ქორწინებათა რაოდენობა იზრდება, მაგრამ პარალელურად განქორწინებათა რაოდენობაც იმატებს. ამ მხრივ 2020 წლის მეორე ნახევარში არსებით ცვლილებებს არ უნდა მოველოდეთ. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ მაღალია განქორწინების დონე დაბალ ასაკობრივ ჯგუფებში, განსაკუთრებით ქალებში. მაგალითად, 1990-2015 წლებში 20 წლამდე ასაკში განქორწინდა 320 მამაკაცი და 1293 ქალი (4-ჯერ მეტი), 20-24 წლის ასაკში – 5469 მამაკაცი და 10981 ქალი, 25-29 წლების ასაკში – 14340 მამაკაცი და 18346 ქალი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს შობადობის დონეს. ცნობისათვის: 1950 წელს ქვეყანაში 73 ქორწინება მოდიოდა ერთ განქორწინებაზე, 1970 წელს – 87 ქორწინება, ხოლო 2018 წელს – ორი ქორწინება.

საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობასთან შედარებით, ბევრად უფრო მწვავედ დგას ინტენსიური ემიგრაციული და იმიგრაციული პროცესების პრობლემა. ქვეყნიდან მძიმე ეკონომიკური პირობების გამო უკვე 30 წელია მკვიდრი მოსახლეობა ტოვებს სამშობლოს. სამაგიეროდ, ქვეყანაში შემოდის სხვა კულტურისა და სხვა რელიგიური აღმსარებლობის, სხვა სულიერი ფასეულობების მატარებელი ხალხი, რაც უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებს ჩვენს იდენტობას. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი უდიდესი ფილოსოფოსი პლატონი წამოსწევს მიგრაციის პრობლემას, რომელიც იმაზე არანაკლებ მწვავედ და აქტუალურად ჟღერს, ვიდრე ამჟამად. როგორც პროფესორი ა. ზლოტნიკოვი აღნიშნავს, „პლატონი ემხრობა იმას, რომ დაეხმაროს უცხოელებს, რათა შეეგუონ ახალ სახელმწიფოში ცხოვრებას, თანაც, თანამედროვე ტერმინოლოგიით. ის გარკვეული დოზით მხარს უჭერს „ტვინების მიგრაციას“, მაგრამ ამასთან აყენებს უცხოელებისაგან თავისი ხალხის მენტალიტეტის, კულტურის დაცვის პრობლემას“. პლატონი თავის თხზულებაში „კანონები“ ემიგრანტთა შესახებ წერს: „ნუ ელოდებით, რომ ჩვენ ოდესმე ასე ადვილად მოგცემთ ნებას, რომ თქვენ კარვები ჩვენთან მოედანზე გაშალოთ და ტკბილხმოვანი არტისტები მოგიყვანოთ“.

* * *

ორი-სამი ათეული წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში და, შეიძლება ითქვას, სხვა ქვეყნებშიც, ოჯახში ძაღლი შედარებით იშვიათობას წარმოადგენდა, ჰყავდათ მათ, რომელთაც ცხოველების მიმართ გადამეტებული სიყვარული და შესაბამისი პირობები ჰქონდათ, ახლა კი მასობრივად გავრცელდა ასეთი ოჯახები. მალე, ალბათ, წამხედურობითაც, ყველა ოჯახს ეყოლება ძაღლი, რაც დიდ საშიშროებას ქმნის სხვადასხვა მძიმე დაავადების გავრცელების, ქალაქში სისუფთავის დაცვისა და შობადობის შემცირების მხრივაც კი. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ძაღლს ცხოველური ჟინი მოსვლია და ოჯახში დროებით მარტოდ დარჩენილი ბავშვი სასიკვდილოდ დაუგლეჯია. ახლახან თბილისში ძაღლმა ქუჩაში 67 წლის ქალი დაგლეჯა.

ჩვენს მიერ ჩატარებული მიკროსოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, ქალები, რომლებიც ძაღლებს ასეირნებდნენ, ან უშვილოები იყვნენ, ან ერთი-ორი ბავშვი ჰყავდათ და მეტის გაჩენას აღარ აპირებდნენ. ეს კი თაობათა განახლებას ვერ უზრუნველყოფს, რადგან მოსახლეობის მხოლოდ ერთი და იმავე რაოდენობით გამრავლებისთვის ყოველ ქალს 2,1 ბავშვი მაინც უნდა ჰყავდეს, ხოლო ყოველ დასაქორწინებელ ქალს – 2,6 ბავშვი. მკითხველისთვის რომ უფრო გასაგები იყოს, როდესაც ყოველ ქალს ჰყავს 2 ბავშვი, მან, მართალია, აანაზღაურა მშობლები, მაგრამ ყველა ვერ მიაღწევს 18 წლის ასაკს, ყველა არ გათხოვდება და ყველას ბავშვი არ ეყოლება. ბოლოს და ბოლოს, შობადობის ასეთი დონის პირობებში, ერი ამოწყდება. ჩვენთან უკანასკნელ წლებში (1992-2013 წლები), კერძოდ 22 წელიწადში, ცალკეულ წელს, ერთ ქალს თავისი სიცოცხლის განმავლობაში, საშუალოდ ჰყავდა 1,4-1,7 ბავშვი, ე.ი. მშობლების ანაზღაურება 67-80 პროცენტით ხდებოდა!

სამწუხაროდ, ტელევიზია უკვე რეკლამას უკეთებს ისეთ ოჯახებს, რომლებიც მშობლებისა და ორი შვილისაგან შედგება და ჰყავს ძაღლი, რომელსაც ოჯახის წევრად თვლიან!

მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება ოჯახის ძაღლების რაოდენობა. ძნელად წარმოსადგენია, თუ რას დაემსგავსება ჩვენი დედაქალაქი, ყველა ოჯახმა ძაღლი რომ იყოლიოს – 350 ათასი ძაღლი თბილისს საძაღლეთად გადააქცევს.

თუ ჭკუას არ მოვუხმობთ, ეს დროც მალე დადგება. ამდენი ძაღლი ცნობიერებასაც კი შეგვიცვლის. ძაღლის პატრონები აგრესიულები და კატეგორიულები გახდებიან.

ანზორ თოთაძე,

(დასასრული მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №7-10

გაუგონარი ყეყეჩობა!



იმის ნათელსაყოფად, რომ მე არც ერთ პარტიას ან პოლიტიკურ მიმართულებას არ ვუჭერ მხარს და არც ერთ მათგანს არ ვაყენებ წინ, მსურს, შეგახსენოთ ერთტაეპიანი ლექსი 2007 წელს გამოცემული ჩემი კრებულიდან:

„არც ზვიადი მომიხმია,
არც ედვარდი, არცა მიშა
გამწევი არც ერთი იყო,
არც წიძარა, არცა ნიშა.“

ამ გამონათქვამით ხაზს ვუსვამ ჩემს აპოლიტიკურობასა და პოლიტიკურ მიუმხრობლობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში განურჩევლობას. მე ჩემი ქვეყნის შვილი ვარ და დიახაც, არავითარი სურვილი, მეტიც, უფლება არ მაქვს, განზე გავდგე იმის გარკვევისგან, რა არის უმჯობესი ჩემი ქვეყნისთვის და რას რა არ ესადაგება. ცუდისა და კარგის გამოწვლილვით განჭვრეტა, ამ შემთხვევაში, უბრალო დაინტერესების კი არა, ჩემი ერის ისტორიის გაგრძელების წინაპირობაა. დიახ, მე, ერთ რიგით არსებას, არა მხოლოდ მაინტერესებს, არამედ მევალება გარკვეული ვიყო საქმის ვითარებაში და ჩვენი ქვეყნის სამომავლო მიზნების განვრცობასაც შევუწყო ხელი.

ფრიად დამაფიქრებელი და ვიტყოდი, შემაწუხებელიც კი გახდა ჩემთვის საძიებელი, რა მოგვიტანა „ძალადობის იმპერიის“ ნგრევამ და ვერნაზიარებმა თავისუფლებამ? რიგ (გავკადნიერდები და ვიტყვი ჩამორჩენილ რესპუბლიკებშიც კი) გამოიყენეს მონსტრის წაქცევა და თავისუფლადაც ამოისუნთქეს. ჩვენ?

ჩვენ კი, ვფიქრობ, ვერ შევიღირსეთ, ვერ დავაჭაშნიკეთ და ვერ შევიტკბეთ ჩვენი წილი სიამოვნება და დღეს ერთ კითხვას მეორე მოსდევს: რატომ? რამ შეგვიშალა ხელი? კითხვა ერთობ მკვახეა და მწარე, მით უმეტეს, მთავრობების ცვლილებათა მიჯნაზე იგი მეტი სიმკაცრითა და სიანჩხლით დაისმის. რა მოგვდის, რა გვემართება?

მიზეზი უამრავია, გააჩნია სად და რის საფუძველზე დავიწყებთ ძიებას. ვთქვათ, რუსული გაუმაძღრობა, ცბიერება და ღვარძლი. ისინი ხომ ყველას და ყველაფერს გესლავენ. განა თვისტომთ (სლავებს), უკრაინელებს და ბელარუსებს არ კბენენ?! ვთქვათ, ბალტიელებს ევროპასთან სიახლოვემ უშველა. რამ იხსნა შუა აზიის ქვეყნები? ვერ ვირწმუნებ, რომ ამ ქვეყნებს ბუნებრივმა რესურსებმა უშველეს. ვნახოთ ერთი, უბრალოდ დავთვალოთ. რამდენი უზბეკი, ყაზახი, ტაჯიკი, ყირგიზი ან თურქმენი ყოფილი პოლიტიკოსი გახდა დეპუტატი ან მინისტრი მოსკოვის კარზე ჩვენგან განსხვავებით და რამდენი ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ერთად აღებული.

რა ხდება? რატომ არ დაედგომებოდათ ჩვენს ბატონებს მშობლიურ ქვეყანაში და რატომ შეეკედლნენ ძალად მოყვარეს? აი, რისი გარკვევა მოგვცემდა ბევრი საჭოჭმანო კითხვის პასუხს.

მეორეც, რატომ უყვნებენ მოწინააღმდეგენი ურთიერთს ბრალად „კრემლის აგენტობას“? რა დაავადებაა ეს? რა სენია, ან რითი ვერ მოუშორებიათ, აგერ უკვე 30 წელიწადია, სხვათა არასახარბიელო დამღა და კიდევ, რატომ გვყავდა, მეტ-ნაკლებად ძლიერ მეზობელ ქვეყნებში, სადიდკაცო მძევლები? ძველი სენია ეს, რომლიდანაც ვერა და ვერ განვიკურნეთ? არადა, ჩვენი ძალადმოყვარე სწორედ იმათში დაეძებს ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილ მერყევ ბატონებს. დაფიძრების ჟამს ამ შეკითხვებზე გონივრული პასუხები ნამდვილად გვარგებდა.

ახლა იმის თაობაზე, რატომ ვერ შეგვიმეცნებია ის აზრი, რომ ჩვენ არც ვინმეზე გაცილებით უკეთესნი, ან ცუდები ვართ. ვერც ის გაგვითავისებია, რომ რეგვენს საკუთარი არშინი უჭირავს ხელთ და იგი თავისი საზრისით ზომავს და ჭრის. არც იმის გარკვევა გვაწყენდა, რატომ გვაბრმავებს ვერცხლი და ხშირად რატომ ვყიდით ლალსა და ალმასს დაბალი სინჯის ოქროზე. იაფად გაყიდვა არც დიდ ჭკუას მოჰყვება ხოლმე და არც სიმდიდრეს. სად, რომელ რგოლში გვიჭირს? რა განაპირობებს აუცილებლად გავებათ მტრის მიერ არც მთლად გონივრულად დაგებულ, მახეში? ვთქვათ, როგორ ვყიდულობთ ენერგორესურსებს ძვირად და იმისგან, ვინც, ეშმაკმა იცის, როდის აგვიშარდება და გვიგანებს?

რა გვაიძულებს ასჯერ ცხვირწანატეხ დაბრკოლებას კვლავ წავაწყდეთ? რატომ შეგვძულებია ერთმანეთი? რამ გამოიწვია ენის წაბილწვა? მე ხანდაზმული კაცი ვარ და განვლილმა ცხოვრებამ კარგად დამანახა ერის ხასიათის კნინი მიმართულება. თითქოს განგებ ხდებოდეს, გაუგონარ ყეყეჩობას ჩავდივართ, არადა ვიცით, რომ ხშირად იმ ტოტსა ვჭრით, რომელზეც ვზივართ და თანაც უფსკრულზეა გადაშვერილი.

ერთ საკითხს მოგახსენებთ კიდევ: ყულევის ტერმინალის მშენებლობაზე პირველი დღიდან, შემიძლია ვთქვა, რომ იქ ვიყავი და რაც იქ მოხდა, არ დატოვა მთლად კარგი შთაბეჭდილება. ნავსადგური გაშვებულიც კი არ გვქონდა, ისე გავყიდეთ, თანაც რა ფასად?

დაიჯერებს ვინმე იმას, რომ ამოდენა საქმეს ნახევარი მილიარდი დოლარით იყიდდი? ჩვენ კი ამის ნახევრის ოდნავ მეტად გავასხვისეთ ეს შვილივით ნაზარდი და ნალოლიავები ტერმინალი. ვინ და რატომ გაასხვისა? ეს ამბავი კარგად იციან იმათ, ვინც უნდა იცოდეს და სააშკარაოზე გამოაქვთ მსგავსი უმსგავსობანი. თუმცა, ამის გასარკვევად თითი არავის გაუტოკებია. ისიც იციან, რა გზითა და მეთოდებით მდიდრდებიან ზოგ-ზოგიერთნი. აგერ პოლიტიკაში გუშინ მოსული მაძიებლები რი დღეში არიან?! რა შესაშური მადით შთანთქავენ ქვეყნის დიდებასა და სახალხო დოვლათს. ვიცით ამის შესახებ? ვიცით! მაგრამ არავის აწუხებს ამის შედეგი და არც ცდილობენ სამზეოზე მათ გამოტანას. სიბნელე ახალი სიბნელეების გაჩარხვას უწყობს ხელს. როგორ?

ვთქვი წეღან, ყულევის ტერმინალი ჩემ თვალწინ აშენდა-მეთქი. იმას ერთი კარგი კაცი აშენებდა. ხატის წინ შემიძლია დავიფიცო, რომ ის კაცი ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, თანამედროვე გრიგოლ ხანძთელის განსახიერება იყო. ჰოდა, იმ პატიოსანმა კაცმა, რომელიც მშენებლობისადმი მიძღვნილ ჩემს რომანში „მარადიულ ჭიდილში“ სანდრო ერაძის სახელითაა ცნობილი, ერთხელ, შუაღამისას, ნახაზებში თავჩარგულს რომ შევუსწარი, ვკითხე, ახალს ხომ არ შებმიხარ-მეთქი რამეს. ჰოდა, იმ კაცმა იცით, რა მიპასუხა? ანაკლიის პორტია ეს, ამას ჩემამდე ჩემი წინამორბედებიც ხაზავდნენ, ჩვენ კი აუცილებლად სინამდვილედ უნდა ვაქციოთო. ჯერ ანაკლია, მერე ოჩამჩირე, მერე სოხუმი და... აი, ასეთი ნატვრა და ხილვა ჰქონდა იმ დიდებულ ადამიანს. ჩვენ კი რა ვქენით. ვის და რატომ ვასიამოვნეთ იმ დიდებული პორტის მშენებლობის შეჩერებით? დევს ამ ამბავში, თუნდაც მისხალი, ერის სასიკეთო?

კარგი, ვიკმაროთ პასუხგაუცემელი კითხვები. რატომ ხდება, რომ ზოგჯერ ჭიანჭველას ნაკვალევზე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზვავს ავაგორებთ, ზოგჯერ კი თავს გვკვეთენ და წყნარად იყავით, არ დაიკვნესოთო. აზრდაუდგმელია მავან პოლიტიკოსთა კოლექტიური, და ვიტყოდი, ზეპარტიული აღტკინებით დაცვა უგუნურებისა. რატომ არ დავინტერესდით რომელი და როდინდელი რუკებით სარგებლობენ ჩვენი რუსი ძმები და იმათ ფეხის ხმას აყოლილი ოსები, აგერ ოკამში გადმოსვლამდე ორი ნაბიჯიღა რომ დარჩენიათ?

მართლა და მართლა, ისეთი რა ძილქუში დაგვუფლებია, რომ საშველი აღარ ადგება ჩვენს გამოღვიძებას და დავითგარეჯი საცილოდ და საჯილდაო ქვად გაგვიხდია. ვინ მოგვცა სიწმინდეებთან ასე უტიფრად ხელის შეხების კი არა, ხსენების უფლებაც კი? სხვა რომ არაფერი, ჩვენს უკან მომავალნი დაგვცინებენ. დაგვცინებენ და ახიც იქნება ჩვენზე.

მოზღვავებულ კითხვებთან შებმა კი არა, გახსენებაც კი, ზოგჯერ გაფრთხობს კიდეც. წარმოიდგინეთ ჩვენი სამ ათეულ საუკუნოვანი ქვეყანა, ჩვენისთანა ბედოვლათების ხელში რომ ჩავარდნილიყო. იქით და იქით წლებში კი არა, აგერ, ორი-სამია თეულის წინ და ჩვენი ეროვნული საფასური გამხდარიყო ამათი სინდის-ნამუსისა და კაცობის ამარა, რომლებიც, დღეს, ჩემზე და ჩემისთანა ათი ათასობით რიგით მოქალაქეზე მეტს ერთ დღეში იღებენ სამსახურებრივი გასამრჯელოს სახით და მაინც ვერ კმაყოფილდებიან. საიდან, რომელი გათვლით ეძლევათ ზოგიერთებს ათასები, სხვებს კი გროშები? ხოლო კითხვაზე, შიმშილობენ თუ არა ჩვენში ბავშვები, ქარაგმებით უპასუხებენ. მე მქონდა ასეთ ძიებთან საუბრის „ბედნიერება“ სამიოდე წლის წინათ, ზაფხულში, მუხრანის საშუალო სკოლის ეზოში და ვერ ამიხსნეს, მათი გათვლების სამართლიანობა, მეტიც, შემკბინეს, შემიღიტინეს...

ჯანდაბას, მოვეშვათ გაქსუებულთა საქციელს. ჰგავს ჩვენი არჩევნები არჩევანს? საქმე იქამდეც კი მივიყვანეთ, რომ სპორტული და გასართობი დარგების ე.წ. პრეზიდენტები ვერ აგვირჩევია ძიძგილაობის, დაშინების, მოსყიდვისა და შანტაჟის გარეშე. რა ესაქმებათ საარჩევნო ბატალიებში სპორტსმენებს, მოძველბიჭოებს და სწორ გზას აცდენილ პირებს?

განა მართლა ასე მწირია ქვეყნის ხაზინა, რომ ყმაწვილთა კვების, მკურნალობის, განათლებისა და სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილება ვერ შევძლოთ?

გული გულობდესო და ქადა ორივე ხელით იჭმებაო. ჰოდა, ჭამონ ორთავ ხელით დამტკბარი ქადა, როცა ბალღებს ქატოს პურიც არ აქვთ, გამოიწერონ თავ-თავისთვის პრემია-დანამატები, ზოგიც სახელდაურქმეველი შემოსავლები და ხარჯონ. ოღონდ ნუ დაგვავიწყდება, რომ სამართლის ურემი ტაატით დადის და მიუხედავს არავის ტოვებს. მანამ კი მიირთვან დოში და ხიზილალა, ისაუბრონ მაღალფარდოვნად, გაგვაოცონ თავიანთი სწორუპოვარი გონიერებით, არ მოიკლონ დროსტარება...

ერთსაც დავძენდი, წინა კაცის ძაგებაც ვერ გახლავთ საქებარი საქმე, მით უმეტეს, თუ თვალმოფარებით მისი საქმეების გამეორებას არ თაკილობ. როცა არ გხედავენ, მაშინაც არ უნდა იქურდო. ე, მაგას ჰქვია, ჩვენებურად, კაი კაცობა თუ არა?! არც იმას გამოვრიცხავ, რომ წერილის კითხვისას წარმოიშვას ჩემი წუხილის წარმოშობის გარკვევის მიზეზი და, რაც მთავარია, რატომ შევუწუხებივარ ასე ძალიან საქვეყნო სატკივარს. ვინ არისო, ვის დაჰკარგვია, რას დაეძებსო? და ა.შ...გეტყვით, ბატონო, გაგიმჟღავნებთ ვინაობას:

დავით ასკურავა-თავაძე,
საქართველოს კულტურის ამაგდარი მოღვაწე, მწერალთა და ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირების წევრი, აკაკი წერეთლის, ლიტერატურული პრემიების ლაურეატი.
ტელ: 558755744

„ნაციმოძრაობა“, მკვდარი ხარ-მეთქი, მკვდარი!

ანალიტიკოსი **დავით ძართველიშვილი** „ნაციონალური მოძრაობის“ შესახებ სოციალურ ქსელში ასეთ პოსტს აქვეყნებს:

„რატომ დასრულდა „ნაციონალური მოძრაობა“ უკვე ამ ეტაპზე – ამაზე როგორც მინიმუმ სამი უტყუარი ინდიკატორი მეტყველებს. პირველი – პარტიის თავმჯდომარე პუტინთან რომ გაგეცევა, არა მაკრონთან ან ბორის ჯონსონთან – აქ შენი რეპუტაციულ/იდეოლოგიური ნარატივი მოკვდა.

მეორე ინდიკატორი – გასული წლის მთელი სექტემბერი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ვანო მერაბიშვილი უკრაინაში პროპაგანდისტულ გასტროლებზე რომ იმყოფებოდა, მისას და მისი „რეფორმების“ შესახებ სასწაულებრივი ზღაპრებით, რის სანაცვლოდ შეჰპირდნენ: „კეზერას რაც მართებს შენთვის მისაცემი, ნაწილს მაინც მიიღებ“, მაგრამ აქაც გადააგდეს. ჰოდა, დღეს პარტიის ახალი თავმჯდომარე, „ცისფერი მთებიდან“ სესილია თაყაიშვილის განწირული ხმით რომ აცხადებს – „ეს კაცი არ გამაკაროთო“, თორემ ვანოზე საუბარი რომ დაიწყოს, შეიძლება ჭერიც ჩამოინგრეს და იატაკიც ჩავარდეს, ზუსტად ისევე, როგორც იმ უკვდავი ფილმის ფინალშია. აქ უკვე შენი პარტიის პროპაგანდისტული სიკვდილი დგება.

და ინდიკატორი მესამე – ჩემი ფავორიტი. ჟორიკა რურუას, როგორც „ივანიშვილის რეჟიმის მსხვერპლის“ იმედად რომ ხარ, და ამავდროულად „რაღაც რომ გიშლის“, იმავე არგუმენტებით ბაჩანა ახალაია გამოაცხადო „პოლიტპატიმრად“ და მისი ციხიდან დაუყოვნებლივ და უპირობო გათავისუფლებას „მიაწვე“ შენთვის ხელმისაწვდომ ყველა პოლიტიკურ ინსტანციაში – აი, აქ ხარ უკვე მესამედ და საბოლოოდ მკვდარი. იმიტომ რომ, შენთვისაც კი – ძმები ახალაიები ნაცპარტიისა და რეჟიმის სისხლისმსმელი ჯალათების ცოცხალ სიმბოლოებს წარმოადგენენ. და შენც კი ვერ ბედავ მათ „პოლიტპატიმრებად“ გამოცხადებას - და ამიტომაც ხარ საბოლოოდ მკვდარი: სიკვდილის ორივე სტადია, კლინიკური და ბიოლოგიური, უკვე დაგიდასტურდა და ახალაიას მაგალითზე – პროზექტურაში კვეთაც კი გაგიკეთდა.

და ამ პოლიტიკური ლეშის მდგომარეობაში რითი ხარ დაკავებული? „ქართული ოცნების“ ფანჯრებში იყურები, სასოწარკვეთილი იმის გამო, რომ ფარული ვიდეოთვალი არ გაქვს მანდ დამონტაჟებული და ამიტომ იძულებული ხარ, იქ მიმდინარე მოვლენები შენს მკვდარ ტვინში აღმოცენებული ფანტასტიკური სურათებით ჩაანაცვლო? მეტი საქმე მართლა აღარა გაქვს – ჩორტებს აგდებ? მკვდარი ხარ-მეთქი, მკვდარი!“...



არაფერი ადამიანური (შეცდომებიც!) ამერიკისთვის უცხო არ არის!

1960-2020: აშშ-ის პრეზიდენტების არჩევნები სტატისტიკოსის თვალით

აშშ დედაქალაქში ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, განსაკუთრებით 6 იანვარს კაპიტოლიუმში ბრბოს შეჭრამ და ამის საფუძველზე მოქმედი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიმართ დემოკრატიული პარტიის და მედიასაშუალებების მხრიდან განხორციელებულმა შეტევამ, ერთგვარად კიდეც გადაფარა უშუალოდ ქვეყნის 46-ე პრეზიდენტის არჩევნების თავისებურებანი, რომელიც საკმაოდ დინამიურად, მოქალაქეთა არნახული აქტიურობისა და პოლარიზაციის ფონზე მიმდინარეობდა.

2020 წლის 3 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების გამორჩეულობის ერთ-ერთი თავისებურება **პრეზიდენტობის კანდიდატთა მაღალი ასაკი** იყო.

პრეზიდენტობის ძირითადი კანდიდატების (ტრამპი და ბაიდენი) საშუალო ასაკი – **76 წელი** – რეკორდულად მაღალი იყო, ხოლო თავად გამარჯვებული კანდიდატის – ჯო ბაიდენის წლოვანება (78 წელი) 5 წლით აღემატება არჩევის მომენტში ასაკით მეორე ადგილზე მყოფ, მეორე ვადით არჩეული პრეზიდენტ რეიგანის ასაკს (73 წელი) და მთელი 35 წლით – 1960 წელს არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატის ჯონ კენედის ასაკს (43 წელი).

დემოკრატებისა და რესპუბლიკელების პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატთა (ბაიდენი-ჰარისი და ტრამპი-პენსი) – **„დიდი ოთხეულის“ – საშუალო ასაკი 67.25 წელია,** რაც 2008 წლის არჩევნებში მონაწილე იგივე დატვირთვის ოთხეულის საშუალო ასაკთან 10 წლით, ხოლო 1960 წლის ოთხეულის საშუალო ასაკთან – 17.25 წლით მეტია. **აღნიშნული ოთხეულის ჯამური ასაკი 26 წლის აღემატება თავად აშშ-ის ასაკს (244 წელი).**

ეკონომიკურ დემოგრაფიაში კარგადაა ცნობილი ე.წ. დემოგრაფიული ინფლაციის ცნება, რომლის მიხედვით, მრავალ პოზიტიურ ფაქტორთა ზემოქმედების გამო, თანამედროვე პერიოდის ასაკოვანი პირის საშუალო ჯანმრთელობა, ფიზიკური მდგომარეობა შეესაბამება რამდენი წლის წინ მასზე ასაკით გაცილებით უმცროსის შესაბამის კონდიციას. მაგალითად, ამჟამინდელი 70 წლის ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და შრომისუნარიანობა საშუალოდ ისეთივეა, როგორიც რამდენი ათეული წლის წინანდელი 65-ზე ბევრად ნაკლები წლის ადამიანისა. და თუმცა აშშ პრეზიდენტად არჩევა მრავალ ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორზეა დამოკიდებული, გამარჯვებული კანდიდატების მზარდი ასაკოვრივი დონე ამ ქვეყანაში პოლიტიკური დღეგრძელობის სამაგალითო ტრადიციასთან ერთად სწორედ ცხოვრების მაღალი ხარისხითა და სტანდარტებითაც უნდა აიხსნას. აშშ მთელი 244-წლიანი ისტორიის მანძილზე **46 პრეზიდენტიდან მათი არჩევის მომენტისათვის მხოლოდ 12-ის ასაკი იყო 60 წელს გადაცილებული, რომელთაგანაც მესამედი ბოლო ორმოცწლიან პერიოდზე მოდის** (რეიგანი, ბუში-უფროსი, ტრამპი და ბაიდენი).

2020 წლის 3 ნოემბრის არჩევნების მეორე გამორჩეული ნიშანი მასში **ამომრჩეველთა უპრეცედენტო სიმრავლე იყო.** არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 158.4 მილიონმა ამომრჩეველმა. – წინა, 2016 წლის არჩევნებთან შედარებით 21.7 მილიონით მეტმა (იმავე პერიოდში აშშ მოსახლეობა მხოლოდ 8.0 მილიონით გაიზარდა), ანუ ხმის უფლების მქონეთა 66.7 პროცენტმა. **ასეთი მაღალი აქტიურობა არ დადასტურებულა ბოლო 60 წლის მანძილზე** – მისი დონე ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ძირითადად 50-დან 60 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა და მხოლოდ ერთხელ, 1960 წელს, როდესაც პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლა ჯონ კენედისა და მოკრატებისა და რესპუბლიკელების მხარდამჭერ ამრჩევთა სასარგებლოდ გადანაწილდება.

აშშ პრეზდენტის არჩევნები ორსაფეხურიანია – ჯერ ხდება **ამრჩევების** არჩევა, თანაც **ამომრჩეველთა** სულ მცირე უპირატესობით მოპოვებული ხმებითაც კი მოცემულ შტატში გამარჯვებული კანდიდატი ღებულობს ამ შტატის ყველა **ამრჩევის** ხმას. ამის გამო აშშ საპრეზიდენტო არჩევნების ისტორიაში **5-ჯერ ჰქონდა ადგილი ვითარებას, როდესაც აშშ პრეზიდენტი ხდებოდა პირი, რომელსაც თავის ძირითად კონკურენტთან შედარებით ამომრჩეველთა ნაკლები ხმა ჰქონდა მიღებული** (1824, 1876, 1888, 2000 და 2016 წლების საპრეზიდენტო არჩევნები). მაგალითად, 2000 წელს ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა) თავის კონკურენტ ალ გორთან შედარებით ნახევარი მილიონით ნაკლები **ამომრჩევლის ხმა** მიიღო, თუმცა **ამრჩევების რაოდენობით** (271 – 266-ის წინააღმდეგ) მაინც გამარჯვება მოიპოვა. სასწორის პინამის სასარგებლოდ გადახარა არჩევნების შედეგებმა **ფლორიდაში,** სადაც ექვსი მილიონი ამომრჩევლიდან, ხმების თითქმის თანაბარი განაწილებისას, ბუშმა 537-ით მეტი ამომრჩევლის ხმა მიიღო და ამით აღნიშნული შტატის 25-ვე ამრჩევის მხარდაჭერა გაინაღდა.

არანაკლებ დრამატული იყო 2016 წლის არჩევნები, სადაც დემოკრატთა კანდიდატმა ჰილარი კლინტონმა 2.9 მილიონით მეტი ხმა მიიღო დონალდ ტრამპთან შედარებით (ამომრჩეველთა ხმების, შესაბამისად, 48.2% და 46.1%), მაგრამ 538 ამრჩევიდან ტრამპს 304-მა (ამრჩევების 56.5 პროცენტი) დაუჭირა მხარი. აღნიშნული ფაქტორის, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნებში ორ ძირითად კანდიდატთან ერთად მონაწილეობენ სხვა კანდიდატებიც, **გამარჯვებისთვის სრულებითაც არ არის აუცილებელი, რომ კანდიდატმა ხმების ნახევარზე მეტი მიიღოს.** – 1960, 1968, 1992, 1996 და 2000 წლების საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა კანდიდატმა ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე ნაკლები მიიღო (მათ შორის 1992 წელს - რეკორდულად დაბალი – 43 პროცენტი).

საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების საბოლოო ვერდიქტის გამომტანი **ამრჩევების** რაოდენობა (538) ყალიბდება აშშ კონგრესის ზედა (სენატი – 100 წევრი) და ქვედა პალატის (წარმომადგენელთა პალატა – 435 წევრი), აგრეთვე ფედერალურ ოლქ კოლუმბიის (რომელშიც შედის აშშ დედაქალაქი ვაშინგტონი) წევრთა რაოდენობის შესაბამისად. მართალია, კოლუმბიის ოლქს არა ჰყავს საკუთარი წარმომადგენელები კონგრესში, მაგრამ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის დამტკიცებაში მონაწილეობს შესაბამისი უფლებამოსილებით პირთა იმ რაოდენობით, რომელიც არ აღემატება აშშ-ის ყველაზე მცირერიცხოვანი შტატის წარმომადგენელთა რაოდენობას (ასეთი ამჟამად ვაიომინგია, რომელსაც წარმომადგენელთა პალატაში 3 წევრი ჰყავს). **გამარჯვებისთვის საჭიროა ამრჩევთა საერთო რაოდენობის ნახევარს დამატებული ერთი ხმა, ანუ 538 : 2 + 1 = 270.**

ამრჩევთა ეს რაოდენობა უცვლელია 1964 წლიდან. – 1960 წელს ამრჩევთა კოლეგიაში ერთით ნაკლები – 537 წევრი იყო, 1912-1956 წლებში – 531, წინა წლებში – კიდევ უფრო ნაკლები. 1788 წელს კი აშშ პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის არჩევა კოლეგიის სულ 69 წევრის მიერ გადაწყდა.

მხარდამჭერი ამრჩევების რაოდენობით აბსოლუტური რეკორდსმენი პრეზიდენტი რეიგანია, რომელმაც 1984 წელს მეორე ვადით არჩევისას 538-დან 525 ამრჩევის (97.6%) მხარდაჭერა მიიღო (არჩევნებში მას მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა „მხოლოდ“ 58.8%-მა). „წკიპზე“, ამრჩევის სულ ერთი ხმით, აქვს გამარჯვება მოპოვებული ჯორჯ ბუშ-უმცროსს 2000 წლის არჩევნებში – 271 ხმა, რომელშიც შედის ასევე „წკიპზე“ მოპოვებელი 25 ფლორიდელი ამრჩევის ხმა (ამრჩევთა საერთო რაოდენობის 50.4%, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 47.9%-ის პირობებში).

მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო საარჩევნო ორი მთავარი პარტიის წარმომადგენლები ეცილებიან, დამარცხებული კანდიდატების წინააღმდეგობა სხვადახვა მასშტაბისაა. გარდა უკვე ნახსენები 2000 და 2016 წლების საპრეზიდენტო არჩევნებისა, სადაც მიუხედავად ამომრჩეველთაგან მიღებული ხმების უმრავლესობისა, არჩევნებში დამარცხდნენ, შესაბამისად, **ალ გორი და ჰილარი კლინტონი,** საყურადღებოა კიდევ ორი არჩევნები: ესაა 1960 წლის არჩევნები, როდესაც დამარცხებულმა კანდიდატმა, რესპუბლიკელმა რიჩარდ ნიქსონმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 49.5 პროცენტი – გამარჯვებულ კანდიდატზე მხოლოდ 0.2 პუნქტით (112.8 ათასით) ნაკლები ხმა; და დონალდ ტრამპის რეკორდულად მაღალი, თუმცა გამარჯვებისათვის არასაკმარისი რაოდენობის ხმები 2020 წლის არჩევნებში.

მათგან განსხვავებით, 1964, 1972 და 1992 წლებში გამარჯვებული კანდიდატების ძირითადმა ოპონენტებმა (შესაბამისად, გოლდუოტერი, მაკგოვერნი და ჯორჯ ბუში-უფროსი) ამომრჩეველთა მხოლოდ 37-პროცენტიანი მხარდაჭერის მოპოვება შეძლეს. ამასთან, ჯორჯ ბუშს (უფროსს) ეკუთვნის თავისებური ანტირეკორდი. მან, 1988 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა, პრეზიდენტმა, რომლის დროსაც აშშ-მა გაიმარჯვა „ცივ ომში“, რომლის დროსაც არსებობა შეწყვიტა სოციალისტურმა სისტემამ და საბჭოთა კავშირმა, 4 წლის შემდეგ კიდევ იყარა კენჭი მეორე ვადით პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად, თუმცა დამარცხდა არკანზასის გუბერნატორ ბილ კლინტონთან. 1992 წლის არჩევნებში, 1988 წელთან შედარებით, მან 9.8 მილიონით და 16 პუნქტით ნაკლები (37.4%, ნაცვლად 1988 წლის 53.4%-სა) ხმა მიიღო.

დამარცხებულთაგან გამარჯვებასთან ყველაზე ახლოს იმყოფებოდა დემოკრატების კანდიდატი ალ გორი - მას 2000 წელს ამრჩევთა მხოლოდ 4 ხმა დააკლდა (266 – „გამსვლელი“ 270-დან). ყველაზე სასტიკი მარცხი კი **უოლტერ მონდეილმა** იწვნია. – 1984 წელს მას მხარი საარჩევნო კოლეგიის 538-დან მხოლოდ 13 წევრმა (ამრჩევთა 2.4%) დაუჭირა, არადა არჩევნებში მას ამომრჩეველთა ხმების 40.6 პროცენტი ჰქონდა მიღებული. საშუალოდ, 1960-2020 წლებში საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულის ამრჩევებისა და ამომრჩევლების ხმების წილებს შორის სხვაობა დაახლოებით 18 პუნქტია (შესაბამისად, 69.2% და 51.2%). ყველაზე დიდი სხვაობა გამოვლინდა 1980 წლის არჩევნებში (40.2 პროცენტული პუნქტი), ყველაზე მცირე კი – 2004 წელს (2.5 პროცენტული პუნქტი).

რამდენადაც იგებს გამარჯვებული კანდიდატი, ფაქტობრივად იმდენსავეს აგებს ძირითადი დამარცხებული კანდიდატი. – არჩევნების წესის შესაბამისად, **დამარცხებულ კანდიდატს ამრჩევთა გაცილებით ნაკლები წილი აძლევს ხმას მათ მიერ ამომრჩევლებისაგან მიღებული ხმების წილთან შედარებით.** ასე მაგალითად, 1984 წელს მონდეილის ამრჩევთაგან მიღებული ხმების წილი 38.2 პუნქტით ნაკლები იყო მის მიერ ამომრჩევლებისგან მიღებულ ხმებთან შედარებით (შესაბამისად, 2.4% და 40.6%). აღნიშნულის გამო, აშშ პრეზიდენტის **არჩევნებში დამარცხებული ძირითადი კონკურენტის ამრჩევების წილის თანაფარდობა მხარდამჭერ ამომრჩეველთა წილთან, როგორც წესი, 1-ზე ნაკლებია.** ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა 2000 წლის არჩევნები, სადაც დემოკრატიული პარტიის კანდიდატს ალ გორს მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 48.4 პროცენტმა და ამრჩევთა კოლეგიის წევრთა 49.4 პროცენტმა, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი გამარჯვებისთვის. „სამაგიეროდ“ კატასტროფული მასშტაბის იყო ეს სხვაობა 1984 წელს, როდესაც უოლტერ მონდეილმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 40.6 პროცენტი და ამრჩევთა ხმების მხოლოდ 2.4 პროცენტი.

მთლიანობაში, სხვაობა გამარჯვებული და ძირითადი კონკურენტების პროცენტულ მაჩვენებლებს შორის არჩევნებში მიღებული ხმების მიხედვით (გამარჯვებულის სასარგებლოდ) საშუალოდ 7.1 პუნქტია, ამრჩევთა ხმების მიხედვით კი, შესაბამისად, 5.5-ჯერ მეტი – 39.3 პუნქტი.

მოტანილი მონაცემები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზოგად წარმოადგენას იძლევა აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებზე, თუმცა მისი სირთულისა და ერთგვარი არქაულობის გათვალისწინებით, საკმარის საფუძველს ქმნის მისი არაერთგვაროვანი შეფასებისთვის. ამერიკის პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებაში ბოლო წლებში მკაფიოდ გამოკვეთილი განსხვავებული და ხშირად დაპირისპირებული ხედვების მიუხედავად, ამ ქვეყანას მაინც საკმარისი პოტენციალი გააჩნია საარჩევნო სისტემის ისეთი ევოლუციისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ამ დიდი სახელმწიფოს კონსოლიდაციას და დინამიურ წინსვლას.

იოსებ არჩვაძე
2021 წლის იანვარი

„ვაი, როგორ გაფრენილა ჩემი ჟღალი მიმინო“...



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელ რედაქტორს, რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს ალეკო (ალვენ) ასლანიშვილს 80 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა იუბილარს.

— გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს. როგორ და როდის მოხვედით ჟურნალისტიკაში?

— იმ დროს, 1968 წელს, როცა რედაქციაში მივედი, ეს მთლად იოლი საქმე არ იყო. ჟურნალისტები ბლომად იყვნენ, ადგილები კი — ცოტა. მაშინ სულ რამდენიმე გაზეთი გამოდიოდა: „კომუნისტი“, „სოფლის ცხოვრება“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „თბილისი“, „ლელო“, „სახალხო განათლება“. რედაქციები მყარად იყო დაკომპლექტებული და იოლად ვერ „ჩაეკვეხებოდი“. 1964 წელს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დავამთავრე და არჩევანის წინაშე დავდექი. სტუდენტობისას გაზეთ „თბილისში“ ვთანამშრომლობდი, იქ ავიდგი ფეხი როგორც ჟურნალისტმა. დიდებული დამრიგებლები მყავდნენ: სერგო ხარაზიშვილი, ლია გოდერძიშვილი, ოთარ დიაკონიძე. „თბილისმა“ „სახალხო განათლებაში“ მიმიყვანა, უკვე შტატის მუშაკად. იქიდან „კომუნისტში“ გადავედი ნუგზარ ფოფხაძის მთავარი რედაქტორობის დროს. მერე იყო „7 დღე“, „საქმიანი კვირა“ და ისევ — „კომუნისტი“, ოღონდ „საქართველოს რესპუბლიკად“ სახელდებული. ამ 53 წლის მანძილზე ბევრი რამ ვნახე, ბევრი რამის მონაწილე გავხდი. 80-იანი წლებიდან, როგორც ჟურნალისტმა, რომ იტყვიან, მჩქეფარე ცხოვრებით ვიცხოვრე, თვით ეპოქა გახდა მჩქეფარე, საგულისყურო და საშიში. ბოლო ოცწლეულში 3 წიგნი დავწერე და გამოვეცი: „მეგრელთა საქმე“ და „დაკარგული საფლავები“ გასული საუკუნის 30-50-იანი წლების მოვლენებსა და პოლიტიკურ რეპრესიებზე, ხოლო მესამე წიგნი — „დღეები ჩვენი მღელვარებისა“ 2003-2008 წლებში საქართველოში განვითარებულ მღელვარე და საყურადღებო მოვლენებზეა, რომლებმაც შეცვალეს ქვეყნის ცხოვრების მდინარება და აწ უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცნენ.

— მოვიპოვე რამდენიმე წონიანი პრემია, მათ შორის საერთაშორისო — „ოქროს ფრთა“.







— განსაკუთრებით რომელ მოვლენებს გამოყოფდით?

— იმ ეპოქიდან ძალიან ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში 1956 წლის 9 მარტი. 15 წლის ბიჭი იმ დღეს გორშიც ვიყავი „გატაცებული“ სატვირთო მანქანით. საღამოს, როცა ხალხს ტყვია დაუშინეს, პარლამენტის წინა კიბეებზე ვიდექი, უკან გავიქეცი და კავშირგაბმულობის სახლთან უარეს სროლაში მოვყევი. იქიდან ერთ-ერთი დაჭრილი წავიყვანეთ კამოს ქუჩაზე მდებარე საავადმყოფოში მე და კიდევ ერთმა ბიჭმა. დღემდე არ ამომდის თვალებიდან დაჭრილებით მოფენილი იატაკი და ატირებული ექიმები.

1989 წლის 9 აპრილი ჩემთვის მაშინ დაიწყო, როცა „იმელთან“ ხალხმა პირველად გამოჩენილი ტანკები შეაჩერა — ასფალტზე გაწვა. დღემდე ვნანობ, რომ ძალა არ მეყო, მეც მათთან ერთად ჩავწოლოდი მუხლუხებს.

ომი აფხაზეთში... არა, მე ავტომატი არ მეჭირა, „კომუნისტის“ კორესპონდენტი ვიყავი, კოშმარად მომყვება ოჩამჩირე-სოხუმის ფრონტზე ნანახი და განცდილი. სამოქალაქო ომი... ჩაბნელებული, მშიერი, ცივი და უიმედო ოთხმოცდაათიანები, ერის გამოცდისა და სულიერი წრთობის წლები, ეს წრთობა ჯერაც არ დამთავრებულა. ორი საუკუნის მიჯნა მკაცრი გამომცდელი გამოდგა: გასაქანი მისცა გაუტანლობას, ცინიზმს, ტრადიციების რღვევას. თავხედობა, უზრდელობა, ნიჰილიზმი, სხვათათვის ანგარიშის გაუწევლობა, ცილისწამება პიროვნების თავისუფლების გამოხატვად ჩაითვალა. წიგნი, ცოდნის წყურვილი უცხო ხილად იქცა.

— დღევანდელობაზე რაღას იტყვით?

— რაც დღეს საქართველოში ხდება, ჩემი აზრით, იმ წლების ლოგიკური გაგრძელებაა. საზოგადოება დაიყო პარტიებად, ენჯეოებად, გარკვეული მოსაზრებით შეკრულ დაჯგუფებებად. ვისაც არ ეზარება ან, უფრო ზუსტად, ვისაც სხვა საქმეში არ გაუმართლა, პარტიას ქმნის. უფრო გავრცელებულია არსებულთა დაქუცმაცება სხვადასხვა ორგანიზაციად, წევრების დაფანტვა. ასე დაემართა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, „ქართულ ოცნებას“, „პატრიოტთა ალიანსს“, „გირჩს“... ჩვენი პარტიები, ერთი შეხედვით, რუხი, მოფუსფუსე ფუტკრები, სინამდვილეში ზოლიანი ყაჩაღი კრაზანებია, რომლებიც მწარედ ინესტრებიან, თაფლი, ცხადია, არ მოაქვთ.

— 2020 წლის არჩევნებზე რას იტყვით, რაც ასე სკანდალურად დასრულდა?

— ერთი რამ უტყუარია, ეს სკანდალი არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე დაიგეგმა და საგანგებოდ მომზადდა: ოპოზიცია თავის თავს გადაახტა და გაერთიანდა. გაერთიანდნენ ერთმანეთის მტრები, გუშინდელი ეკლიანი განაყოფები, ყველასთვის ცნობილები და ყველასთვის უცნობი „ვეტერანები“ და ახალშობილნი. მათ არაფერი ჰქონდათ საერთო, საერთო მხოლოდ მტერი ჰყავდათ, უფრო ზუსტად, მტრის ხატი — „ქართული ოცნება“, ანუ ბიძინა ივანიშვილი... ეს სიძულვილით „გაერთიანებული“ პარტიები ერთად დასხდნენ ნათელაშვილის საჯო კარზე: „ბოღმა ვანუა“ ნაცმოძრაობა, ყველაფრისა და ყველას მტერი ევრონაცები, საეჭვო რეპუტაციის „გირჩი“, დოღრიალა, მაგრამ იმედის მომცემი „მოქალაქე“, გაურკვეველი ამბიციით დატენილი „პლატფორმა — აღმაშენებელი“ და მასზე კუდივით გამოსკვნილი საფირმო შეკივლების — „აუ, რამდენნი ვართ“ ავტორი თაკო ჩარკვიანი, ქართველი ჟირინოვსკი შალიკო ნათელაშვილი თავისი გუგავათი და ერთი კონა ლეიბორისტებით, მუდმივად დამარცხებული ნინო ბურჯანაძის ხუთკაციანი პარტია, რომლის მთელი ნოუჰაუ თავისი ხელმძღვანელის ტრაბახი და საკუთარ წარმატებათა დაუსრულებელი ჩამოთვლაა, ცხვრებად ქცეული მგლების პარტია „ლელო“, კარგა ხნის წინათ შამპანურის ბოთლიდან ამოსროლილი საცობი — ნაცების საარჩევნო მანტიაში შემძვრალი რესპუბლიკელები.

ასეთი იყო სპილოების განლაგება საარჩევნო დაფაზე 31 ოქტომბერს. მაშინვე ჩანდა, რომ ეს ძალა იოლად არ დაყრიდა ფარ-ხმალს, საყოველთაოდ იყო შეთანხმებულ-შეჯერებული სტრატეგია — არჩევნები ყველა შემთხვევაში უნდა „გაყალბებულიყო“. სხვაგვარად „ოცნებასთან“ ფონს ვერ გავიდოდნენ.

ჰოდა, როგორც კი არჩევნები დასრულდა, პირველი ნოემბრის ღამის ოთხი საათისთვის თაკო ჩარკვიანმა უკვე „იცოდა“, რომ არჩევნები გაყალბდა! მე არ ვიცი, რომელ შალიკოელ შეფიცულს დაურეკა პირველად თავისი უკეთური მიგნების შესახებ, მაგრამ დილის 6 საათზე უკვე მთელი ოპოზიცია ყალყზე იდგა, გაგვიყალბესო! ისიც დამაჯერებლად სავარაუდოა, რომ პარალელურად იმ ღამითვე ტელეფონის ზარებით ნიფხავ-პეგანგით წამოყარეს ლოგინებიდან ევროპელი და ამერიკელი მფარველები.

„გამყალბებლებს“ არავინ უსმენდა, რითი გვიმტკიცებთ, რა საბუთი გაქვთო. ბრალმდებლებმა მერე და მერე ჩამოთვალეს „უტყუარი არგუმენტები“: სომხური კარუსელებიო, უბნებზე ჩაცუცქული ძველი ბიჭებიო, დარიგებული კარტოფილიო! ადმინისტრაციული რესურსიო... ცარიელი სიტყვების რახარუხი... ჯერ ჩვეულებისამებრ პარლამენტს მიადგნენ დიდი ღრიანცელით, მერე ცესკოს შენობას დაეჯაჯგურნენ ზამთრის სასახლესავით, ოღონდ მასაც ამაოდ, განსხვავებით სომეხი მეზობლებისა და ჩვენი „სათაყვანებელი“ ამერიკელებისგან, რომლებმაც სულ წია-წია წაიღეს ადმინისტრაციული შენობები, პირველმა ყარაბაღის ომის წაგების შემდეგ, მეორემ კი ბაიდენ-ტრამპის ჭიდილში.

როგორც ცხოვრებამ აჩვენა, პარლამენტში შეუსვლელობა ოპოზიციის ერთობლივი შეცდომა იყო. აკელამ მიზანს აცილა და დაისაჯა: დაიწყო ოპოზიციის რღვევა და ხრწნა. ეს პროცესი გრძელდება, კვლავაც გაგრძელდება და შემიძლია, ვიწინასწარმეტყველო — წაბილწავს ოპოზიციის წმინდა პალატებს. ასე რომ, პარტიებმა ამაყი ბოიკოტით („საბოტაჟით„) თავისი დასაკლავი დანები გალესეს. „ოცნება“ შოკიდან გამოვიდა და თანდათან მტკიცედ აიღო ხელში სადავეები. იმდენად მტკიცედ, რომ მშვიდად გადაიტანა (ჯერჯერობით მაინც) მოულოდნელი ცუნამი — ბიძინა ივანიშვილის წასვლა პარტიის თავმჯდომარეობიდან და საერთოდ პარტიიდანაც, რასაც სიხარულით შეძრული ოპოზიცია ზეციურ მანანად მიიჩნევს.

— როგორ აღიქვით საკუთარი 80 წლისთავი?

—საიდუმლოდ გაგიმხელთ, რომ, რაც შემეძლო გავაჭიანურე ამ დღის გარდაუვალი დადგომა, მაგრამ არაფერი გამომივიდა (ანვის გამოსვლია?) და, ლადოს თქმისა არ იყოს, სიბერე ძუ მგელივით მომიხტა.

80 წელი, რაგინდ ყინჩად გეჭიროს თავი, უკვე ნამდვილი სიბერეა. მესმის, რომ ცხოვრება არ მთავრდება, მაგრამ ეს თარიღი მაინც „წყალგამყოფია“ — მანამდე და მას შემდეგ. ახლა ყოველი დღე ნაჩუქარია. თუმცა, წუწუნი არ მჩვევია, რაც დარჩენილი მაქვს, ღმერთმა ის შემარგოს. ოთხმოცი წლის კაცის ხვალინდელი დღეც შეიძლება საინტერესო და შინაარსიანი იყოს, თუ სიჭარმაგეში საგულისყუროდ და სისხლსავსედ იცხოვრა. ამდენად, სახვალიო გეგმებიც მაქვს და თუ საჭირო გახდება, ზეგისთვისაც მოვხაზავ. მგონია, რომ ჯერ კიდევ საჭირო ვარ ამ კოვიდუბედურებისა და დაულაგებელ-დაუწყნარებელი პოლიტიკური ვითარების ჟამს. ყოველ შემთხვევაში, თავს ვიიმედებ, რომ ასეა.

— დაბოლოს, ამ უთავბოლო, უბარაქო წუთისოფელში რაზე გწყდებათ გული?

— რაზე შეიძლება სწყდებოდეს გული 80 წლის კაცს? სულ უფრო ხშირად მახსენდება ცხონებული არჩილ სულაკაურის ლექსის სტრიქონი: „ვაი, როგორ გაფრენილა ჩემი ჟღალი მიმინო...“

ესაუბრა
სულხან ნაკაშიძე

ორბელიანების სასახლე ტრადიციას იბრუნებს

ორბელიანების სასახლის ეზოში, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, ახალგაზრდა ხელოვანების მხარდაჭერისა და პოპულარიზაციის მიზნით ქუჩის მუსიკოსების კონცერტი გაიმართა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის ირინე შენგელიას განცხადებით, ახალგაზრდა ხელოვანების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა პრეზიდენტის სტრატეგიის ნაწილია, მით უფრო, პანდემიის პერიოდში, როცა მათ მუშაობის შესაძლებლობა არ ეძლევათ.

„ასევე, დღევანდელი ღონისძიება ხაზს უსვამს „ორბელიანების სასახლის“ ღიაობას. მრავალი წლის განმავლობაში, ეს შენობა იმ ეპოქის საზოგადოების, მათ შორის კულტურის სფეროს გამორჩეული ნაწილის თავშეყრის ადგილი იყო, იმართებოდა კონცერტები და სალონური შეხვედრები. მსგავსი ღონისძიებებით „ორბელიანების სასახლე იბრუნებს ტრადიციას“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ირინე შენგელიამ.

◎ ახლოა ტოკიომდე

სტარტიც ასეთი უნდა!

ოლიმპიური **სეზონი ჩინებულად დაიწყეს ქართველმა ფალავნებმა, რომლებიც ნიცაში გამართული ანრი დეგლანის სახელობის 47-ე დიდი პრიზიდან თორმეტი მედლით დაბრუნდნენ სამშობლოში.**

ფრანგულ ხალიჩაზე განსაკუთრებით გიორგი იანტბელიძის გაწვრთნილმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ივაუკაცეს — 10-დან 9 საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა: „ოქრო“ — ბექა ლომთაძე (61), ზურაბ იაკობიშვილი (70), ნიკოლოზ კენჭძაძე (79) და გენო პეტრიაშვილი (125); „ვერცხლი“ — დავით ტლაშაძე (74) და გივი მაჭარაშვილი (97); „ბრინჯაო“ — ბექა ბუჯიაშვილი (57), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (65) და ირაკლი მწითური (92).

ბუნებრივია, გუნდურ ჩათვლაშიც „ჯვაროსნებმა“ გაიმარჯვეს 195 ქულით და ჩამოიტოვეს როგორც აშშ, ისე აზერბაიჯანი, რომლებიც, თურქებისა და რუსებისგან განსხვავებით, უძლიერესი შემადგენლობით გამოდიოდნენ 17 ნაკრების დავაში.

რაც შეეხება „კლასიკოსთა“ ტურნირს, 5 ჩვენებურიდან გიორგი მელიამ („ოქრო“, 97), გურამ ხეცურიანმა („ბრინჯაო“, 87) და სულხან ბუიძემ („ბრინჯაო“ 130), გვასახელეს.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

I წრეც გიოსია!

ახლახან გულით ვხარობდით, როცა ლიგა ენდესას ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გიორგი შერმადინი ესპანეთის 2020 წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. და აი, „ტენერიფეს“ 31 წლის ქართველი ლიდერის კიდევ ერთი აღიარება — „ელ დიამ“ იგი მიმდინარე ჩემპიონატის I წრის საუკეთესო კალათბურთელად მიიჩნია!

გამოცემა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჯვაროსანი“ ცენტრი ტრადიციულად ძლიერია ფარქვეშ, სტაბილურად აგროვებს მოხსნებს, ლამის 90-პროცენტიანი სიზუსტით ასრულებს საჯარიმოებს და უკვე ახალი ღირსებითაც გამოირჩევა — როცა მისი მეურვის დასახმარებლად დამზღვევი გადმოდის, ზუსტი გადაცემებით ამარაგებს გამოთავისუფლებულ პარტნიორებს, ყოველივეს გათვალისწინებით კი განვლილ 18 შეხვედრაში მისმა საშუალო სარგებლიანობის კოეფიციენტმა 23,3-ს უწია. ასე რომ, თუ აღებულ ტემპს შეინარჩუნებს, სავსებით რეალურია ჩვენებურმა ამ კომპონენტში ლეგენდარული ფელიპე რეიესის ერთი შეხედვით მიუღწეველი რეკორდი — 25,6 დაამხოს.

რატომაც არა?

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგენდა

წავიდა, მაგრამ... დარჩა

მაშინ, როცა ქვეყნიერება უმადურობამ წალეკა, ვფიქრობთ, ვალდებულნი ვართ, მადლიერების სტრიქონები შევაწიოთ კაცს, რომელმაც ყველაფერი გაიღო ქართული წყალბურთის სასიკეთოდ და, მართალია, ერთი შეხედვით აუზი დატოვა, მაგრამ, როგორც ირკვევა, მაინც საყვარელი საქმის, უფრო სწორად — საკუთარი მოწოდების სადარაჯოზე რჩება.

საუბარია **რევაზ ჩომახიძეზე,** რომელიც სულ ახლახან, ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ გადადგა თბილისის „დინამოსა“ და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან და სხვა საქმით აპირებს დაკავებას, თუმცა, ბოლომდე მაინც ვერ ძლებს სპორტის გარეშე და, საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ცნობით, ქვეყნის 15-წლამდელ ჭაბუკთა გუნდთან იმუშავებს. დარწმუნებული ვართ — იქაც წარმატებით!

საღარბაზო ბარათი

კარიერის დასაწყისი — ქუთაისი.
კლუბები — თბილისის „დინამო“ (1987-93), რარი ნანტესი, პრო რეკო (იტალია), ზაგრების მლადოსტი (ხორვატეთი), მოსკოვის დინამო და ჩეხოვის შტურმი (რუსეთი).

მიღწევები — ევროპის თასების თასის მფლობელი (დინამო), ლენტროფის გამარჯვებული (შტურმი).

მიღწევები რუსეთის ნაკრებში — ოლიმპიადის ვერცხლისა (სიდნეი) და ბრინჯაოს (ათენი) პრიზიორი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მესამეადგილოსანი, კეთილი ნებისა და მსოფლიო ლიგის თამაშების გამარჯვებული, მსოფლიო თასის მფლობელი. კონტინენტის საუკეთესო მოთამაშე (2001). მისი კანდიდატურა ავტორიტეტულ ექსპერტთა ჟიურის მიერ განიხილებოდა ტოტალ ფლეიერ ევორდ-ის პრემიის კანდიდატთა ნომინაციაში და აღიარეს 21-ე საუკუნის უძლიერეს ცენტრად. დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მოსკოვის დიპლომატიური აკადემია.

დაბოლოს: აი, როგორ აფასებს სამშობლოში დაბრუნებული ვარსკვლავი საკუთარ ნაღვაწს: **„უკრაინის ღია ჩემპიონატში გამოსვლისას მე-4 თუ მე-5 პოზიციაზე ვიყავით იქაურ ლიგაში, ათი წლის შემდეგ კი მე-10 გუნდი გავხდით ევროპაში, ხოლო „დინამო“ ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს. ასე რომ, კმაყოფილი ვარ იმით, რაც გავაკეთე და რასაც ბოლო წლებში მივაღწიე!“**

გმადლობთ, რევაზ!

ბეჭან დოლიძე

◎ დრონი მეფობენ...

საღღაა გასეირნებები

მართალია, 21-ე საუკუნის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელები კვლავაც ლიდერობენ ევროპის წამყვანი ლიგების ბომბარდირთა დავაში, მაგრამ მათი კლუბები შორს არიან ოპტიმალური კონდიციებიდან და ძალიან გაუჭირდებათ სეზონის ტიტულებით დასრულება.

ასე მაგალითად, კრიშტიანუ რონალდუს „იუვენტუსი“ იტალიის „სერია-ა“-ს მე-18 ტურის ცენტრალურ გასვლით შეხვედრაში 0:2 დამარცხდა „ინტერთან“ და უკვე სოლიდური სხვაობით ჩამორჩება სატურნირო ცხრილის ლომბარდიულ ყოჩებს — „მილანსა“ და იმავე „შავლურჯებს“, აგრეთვე „ნაპოლისა“ და „რომას“, მეხუთე ადგილი კი, დაგვეთანხმებით, ანდრეა პირლოს გუნდისთვის კატასტროფის ტოლფასია.

არანაკლები საფიქრალი აქვს ნაახალწლევს „ბარსელონას“, რომლის თავკაცს რონალდ კუმანს პირველი ტიტულის — ესპანეთის სუპერთასის მოპოვება „ბილბაომ“ არ დაანება — 2:3 (დამატებით დროში), არადა, ძირითად დროში, ბოლო წუთამდეც კი, კატალონიელები გრიზმანის დუბლით ორჯერ დაწინაურდნენ. აღსანიშნავია, რომ მათი წამყვანი მოთამაშე ლეო მესი 753-ე საკლუბო მატჩში პირველად გააძევეს მინდვრიდან (კიდევ ორი წითელი ბარათი მას არგენტინის ნაკრებში თამაშის დროს აქვს მიღებული, ხოლო ბასკები მეოთხედ გახდნენ ტიტულის მფლობელები).

სხვათა შორის, არგენტინელ სუპერვარსკვლავს უკავშირდება ამ დღეებში გავრცელებული კურიოზული ფაქტიც — რომელიც ცნობილი გახდა, მისი მეუღლე, სამი ვაჟის დედა ანტონელა როკუცო, თურმე უკვე ერთი თვეა, რაც კრივში ინტენსიურად ვარჯიშობს. სხვათა შორის, მის ქმარს ზემოთაღნიშნული ფაქტის გამო 4-დან 12 მატჩამდე დისკვალიფიკაცია ემუქრება.

დაბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი: **„კატალონიის მთავრობამ აცნობა კლუბს, რომ ამჟამინდელი ეპიდემიოლოგიური ვითარება საშუალებას არ მისცემს „ბარსელონას“ საპრეზიდენტო ფორუმის ამომრჩეველთა უმრავლესობას მონაწილეობა მიიღოს ხმის მიცემის პროცედურაში. სწორედ ამიტომ „ბლაუგრანას“ შეფებმა განაცხადეს, რომ კორონავირუსის გამო დაწესებული შეზღუდვების მიზეზით შეუძლებელია არჩევნების 24 იანვარს მოწყობა და აუცილებელია აღნიშნული თარიღის გადაწევა“.**

დავძენთ, რომ არაა გამორიცხული სპორტულ კანონმდებლობაში ცვლილების განხორციელება და ხმის ფოსტის მეშვეობით მიცემა, პოსტისთვის კი ჟოან ლაპორტა, ვიქტორ ფონტი და ტონი ფრეიშა იბრძოლებენ.

გიორგი შოთაძე

◎ რალი

სავალალო ფინიში

მსხვერპლით **დასრულდა პოპულარული რალი — მარათონი „დაკარი“, რომლის მეშვიდე ეტაპის 178-ე კილომეტრიც საბედისწერო აღმოჩნდა ფრანგ მოტომრბოლ პიერ შერპენისთვის.**

52 წლის პილოტმა წაქცევისას თავის სერიოზული ტრავმა მიიღო და, სასწრაფო ნეიროქირურგიული ოპერაციისა და რამდენიმედღიანი ხელოვნური კომის მიუხედავად, საუდის არაბეთიდან სამშობლოში თვითმფრინავით გადაყვანისას, მგზავრობის დროს გარდაიცვალა.

ქალაქ ლილის მკვიდრი მეოთხედ მონაწილეობდა ყველაზე პრესტიჟულ ასპარეზობაში, რომლის გამარჯვებულნიც გახდნენ:

ავტომობილები — სტეფან პეტერანსელი (საფრანგეთი).
მოტოციკლები — კევინ ბენავიდესი (არგენტინა).
კვადროციკლები — მანუელ ანდუხარი (არგენტინა).
სატვირთოები — დიმიტრი სოტნიკოვი (რუსეთი).

ბადრი იაშვილი

◎ ჟურნალის მახვილი მზერა

„დრო თითქოს მიიზლაზნება, წლები კი ისე სწრაფად მირბიან, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო“, — დიდი ხნის წინათ ნათქვამი ამ ფრთიანი ფრაზის სისწორეში თითოეულ ჩვენგანს დღენიადაგ საკუთარი გამოცდილება გვარწმუნებს.

ეპოქების ცვლას კაცის თვალი მხოლოდ სოციალური თუ პოლიტიკური კატაკლიზმების დროს ამჩნევს უმალ, დანარჩენ შემთხვევათა უმრავლესობაში კი იმის შეგრძნების ტყვეობაში ვრჩებით, თითქოს ქვეყანაზე ბევრი არაფერი იცვლება. არადა, კაცმა რომ თქვას, ფაქტობრივად ყოველდღე წინა დღისგან რამდენადმე განსხვავებულ ვითარებაში გვიწევს ცხოვრება და, შესაძლოა, სწორედ თვალის ერთი გადავლებით ამ შეუმჩნეველი ცვლილებების წყალობით ჩვენ გამუდმებით გარკვეულწილად სხვა დროში გვიწევს ცხოვრება და, ზოგჯერ ისე მეჩვენება, თითქოს სწორედ ეს გარემოება გახდა გადამწყვეტი საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის, რომლის პრეზიდენტი პოეტი, ესეისტი და კინოდრამატურგი კობა არაბული გახლავთ, ჟურნალისთვის სახელწოდების „სხვა დროს“ შერჩევის მთავარი კრიტერიუმი.

ქამთაცვლის მოლოდინი



2020 წელი „სხვა დროს“ დაბადების თარიღია, რომელიც, მჯერა, ღირსშესანიშნავ კვალს დატოვებს სამამულო ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ამდენად, წინასაახალწლოდ ალმანახის გაერთიანებული მე-3-4 ნომრის გამოცემა, კორონავირუსის მიზეზით დადგენილი შეზღუდვების პირობებში ყოფნის მიუხედავად, ქართული ლიტერატურული სინამდვილის უაღრესად საგულისხმო მოვლენად იქცა.

ვიდრე უშუალოდ „სხვა დროს“ გაერთიანებული ნომრის შინაარსის მოკლე მიმოხილვაზე გადავიდოდე, მკითხველის ყურადღება მინდა ქართული ლიტერატურისა და სამამულო ჟურნალისტიკის ერთგვარად „გამაერთიანებელ“ გასაჭირზე გავამახვილო, რომელსაც წინასაახალწლოდ გამოსული ჟურნალის სარედაქციო წერილი „სიტყვა კულტურაზე ხელისუფალთა საყურადღებოდ“ ეხმიანება. გამოცემის წამკითხავი, ცხადია, თავადვე გაეცნობა, მე კი, თავი რომ არ შეგაწყინოთ, ვიტყვი, რომ სიმწრით ნათქვამი სიტყვის პათოსი ის გახლავთ, რომ „...მწერლებს, არათუ მწერალთა სახლში (მაჩაბლის №13), არამედ მწერალთა სასახლის „მემორიალურ ბაღშიც“ კი არ შეუძლიათ შესვლა „ვინმეს“ ნებართვის გარეშე(?!). ეგრეთ წოდებულმა „ვარდების რევოლუციამ“ აქაც ასეთი ვითარება შექმნა: იქ, სადაც ტიციანი, გალაკტიონი, პაოლო, გამსახურდია, ლეონიძე, ლადო ასათიანი, ჯაბუშანური და ყველა, ძველი და ახალი თაობის მწერლები იკრიბებოდნენ და ერის ბედ-იღბალზე ბჭობდნენ, ახლა სააკაშვილის ჩანერგილი „ბორდის“ მოხელენი „სირომანობენ“ და პორჭიკობენ. ასეთი „საგანგაშო სირცხვილის“ ვითარება არც ერთ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში არ არის!“

ამ დრამატული მდგომარეობის გამო უწინაც იმდენი ითქვა ყველა დონის ტრიბუნიდან, რომ ახლის თქმას ნამდვილად ვერ შევძლებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ სამარცხვინო კოჰაბიტაციის ასეთივე უმძიმესი შედეგის დამანგრეველ წნეხს ასევე ქართველი ჟურნალისტებიც განვიცდით, რომლებიც „ვარდოსნების“ მანქურთებმა ერთ ღამეში საკუთარი სახლიდან, გამომცემლობა „სამშობლოდან“ კინწისკვრით გამოგვყარეს და დღესდღეობით, ვისაც ჯერ კიდევ სასწაულით გვიდგას პირში სული! — სხვათა კარზე ვართ მდგარი!

„თუ კულტურას და მის მატარებელ ელიტას ანადგურებ, ერი და სახელმწიფოც დაღუპვისკენ მიდის...“ — ნათქვამია სარედაქციო გმინვაში და ამას კიდევ განა რა შეიძლება დაამატო კაცმა?!

უაღრესი აქტუალობის გამო დღევანდელობის ექოდ ჟღერს ჟურნალის გამხსნელი დიდი ვაჟა-ფშაველას ესეი **„რა არის თავისუფლება?“** — „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“. ამ სიტყვებით გაიჟღინთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არასდროს ჩვენის ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვგონია, ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდესმე სმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904-1905 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს“.

ესეი დაბეჭდილია რუბრიკით — „მოგონებათა კარი: უცნობი წარსული“, ხოლო მისი „წინათქმის მაგიერი“ სიტყვის ერთ-ერთი ავტორი ჩვენი სასიქადულო ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბულია, რომელიც შემდგომ რუბრიკაში „ახალი მეცნიერული ხედვა“ ქართული პოეზიის მშვენების „ვაჟა-ფშაველას პოეტური ენის საიდუმლოზე“ მსჯელობს.

ჩინებულად იკითხება ცნობილი არხოტელი პოეტისადმი **გაბრიელ ჯაბუშანურისადმი** მიძღვნილი მწერალ გიორგი ქავთარაძის ნარკვევი, რომელიც მკითხველს ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს ამ კარიბჭის ერთი მეციხოვნის, ნიჭიერი ხევსური პოეტის შესახებ მოგვითხრობს.

რუბრიკაში „საკრალური ცოდნის კარი“ მკითხველი უთუოდ ინტერესით გაეცნობა კობა არაბულის „კორონას დრო და ქაჯებთან ომის მითი“, ხოლო „მემუარების ზანდუკში“ — რეზო კვესელავას სტატიის „ბიოგრაფიის“ დასასრულს.

პოეზიაში ჟურნალის გვერდები დათმობილი აქვს ბადრი გუგუშვილის,თემურ შავლაძის, გაბრიელ ბაღდავაძის, გიორგი არაბულის, გური ოტობაიას, ასევე ავსტრიელი გეორგ თრაკლის ლექსებს.

წერილში „ინანიშვილის გმირები“ ახალი ქართული პროზის შესახებ საუბარს განაგრძობს ვანო ჩხიკვაძე, ხოლო ზურაბ თორია „ნათელჭვრეტის ძალმოსილებაში“ სამოციანელთა პლეადის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს, ცოტა ხნის წინათ მარადისობაში გარდასულ **გურამ გეგეშიძის** ფენომენს განიხილავს.

ამავე რუბრიკით მკითხველის ყურადღებას სავსებით დამსახურებულად მიიპყრობს მასალები ჰომეოპათიის ზოგიერთი ხევსურული მითის შესახებ, რომელიც ფოლკლორულ ინფორმაციას ეხება.

ოთარ ტურაბელიძე

სანთელი

უახლოესი მეგობრები: იური ოსიპოვი, გივი ცაგარელი, ჯემალ კალანდაძე, ლევან ჯიბუტი, ირაკლი მელაძე, გურამ კოსტავა, არჩილ გოგელია, ზურაბ ცძიტიშვილი, ზურაბ კუპრაშვილი, როლანდ გილიგაშვილი, გოგი თოფაძე, ლევან ჭაჭიაშვილი, ვაჟა ღოღობერიძე, გურამ ახრახაძე, მურიკო თოფურიძე, თინიკო ყალიჩავა-კიკალიშვილი, ნუნუ ჭიჭინაძე ოჯახებით დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოში ცნობილი მეწარმე, ვეტერანი მოფარიკავე და ღირსეული თბილისელი

გურამ ჯაიანი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ყველასგან გამორჩეული

ძნელია საუკეთესო მეგობარზე მწუხარების წერილის წერა. გულისტკივილით ვიხსენებთ უკვე შესანიშნავ მეწარმესა და კოლეგის, კვების მრეწველობის გამორჩეულ ინჟინერ-ტექნოლოგს, წარსულში ცნობილ მოფარიკავეს, მრეწველთა პარტიის დამფუძნებელს, კვების მრეწველობის დარგის ვეტერანს, ქარხანა „შატილის“ დირექტორსა და შემდგომ „საქმინხილწყალის“ სამმართველოს ხელმძღვანელს, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ფაკულტეტის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და წარმომადგენელს, ჩვენს

გურამ ჯაიანს

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ პატრიოტი, სამშობლოს, ოჯახზე და სამეგობროზე შეყვარებული ადამიანის სული.

პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე
მალხაზ დოლიძე

ენგურჰესის გამომუშავება გაიზრდება!

ენგურჰესის სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაციის შედეგად, წელიწადში დამატებით 100-120 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგიის გამომუშავება იქნება შესაძლებელი, — ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ ინფორმაცია ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის სახელმწიფო უწყებებისა და ენგურჰესის სარეაბილიტაციო — სარემონტო პროექტის განმახორციელებელი სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებთან განიხილა.

მინისტრის განცხადებით, რეაბილიტაციის პროექტის სრული ღირებულება 45 მლნ ევროა, საიდანაც 7 მლნ ევრო ევროკომისიის გრანტია, 38 მლნ ევრო კი — ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საფინანსო რესურსი.



„პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი სადერივაციო გვირაბის რემონტია. სწორედ მისი მეშვეობით მიეწოდება აგრეგატებს წყალსაცავიდან წყალი. გვირაბის დასაცლელად და სარემონტო სამუშაოების საწარმოებლად ჰიდროელექტროსადგურის სრულად გაჩერებაა საჭირო. სადერივაციო გვირაბის რემონტი ავარიული მონაკვეთების შესაკეთებლად და გაჟონილი წყლის მოცულობის შესამცირებლად არის აუცილებელი. სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაციის შედეგად, წელიწადში დამატებით 100-120 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგიის გამომუშავება იქნება შესაძლებელი...

ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ქსელის მშენებლობა იწყება

პროექტის ფარგლებში, 56 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზი აშენდება, დამონტაჟდება 271 ანძა. ამ დროისთვის დაწყებულია 270 ანძის მშენებლობა. რაც შეეხება დანარჩენ ნაკვეთებს, მათზე მშენებლობა არ იქნება, მათ მხოლოდ ელექტროგადამცემი ხაზი გადაკვეთს. პროექტს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია საქართველოს ენერგეტიკულ სისტემებს შორის დამატებითი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით და ასევე ხელს შეუწყობს რეგიონის მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის უწყვეტ და საიმედო მიწოდებას. პროექტი ხორციელდება EBRD-ის ფინანსური მხარდაჭერით და მისი ღირებულება დაახლოებით 16 მლნ ევროს შეადგენს.

გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებს თოვლმავალი ეხმარება

გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები კობი-გუდაურის სამხედრო გზაზე ზვავსაშიში ფერდობების მონიტორინგს თანამედროვე, სპეციალური სატრანსპორტო საშუალებით — თოვლმავალით (ბურანი) განახორციელებენ, — ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**

მათივე ინფორმაციით, ზვავის წარმოქმნის მხრივ, მაღალი რისკის ერთ-ერთ ლოკაციას საქართველოს სამხედრო გზა წარმოადგენს.

გუდაური-კობის გზის 14 კმ-იან მონაკვეთზე, ზვავსაშიშროების დროს გადაადგილება მსუბუქი და მაღალი გამავლობის ავტომობილებით შეუძლებელია. თოვლმავალის დახმარებით გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ოპერატიულად შეაფასებენ არსებულ ვითარებას.

ილია მეორე: ნაკურთხი წყალი ასხურეთ კარ-მიდამოს, შვილებს, ოჯახს!

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ გუშინ მრევლს კურთხევა მისცა, ნაკურთხი წყალი სახლებსა და კარ-მიდამოს აპკურონ. ამის შესახებ პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას ბრძანა.

„ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს. მადლი ღვთისა გფარავდეთ თქვენ, სრულიად საქართველოს და მთელ მსოფლიოს. დღეს უნდა წაიღოთ სახლებში ეს ნაკურთხი წყალი და ასხუროთ კარ-მიდამოს, შვილებს, ოჯახს და მადლი ღვთისა უხვად გარდამოვა თქვენზედა, არ მოგაკლოთ ღმერთმა მადლი ღვთისა“, — ბრძანა პატრიარქმა.

მართლმადიდებელმა ეკლესიამ გუშინ ნათლისღება აღნიშნა. დღესასწაულთან დაკავშირებით ტაძრებში წირვა-ლოცვა შესრულდა.

ნათლისღების დღესასწაული თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის ერთ-ერთია. სხვაგვარად ამ დღეს ღვთის გამოცხადების დღესასწაულს უწოდებენ, რადგან ყოვლადწმინდა სამება განცხადდა. ასევე ნათლობა დაწესდა.

ამ დღეს, სახარების თანახმად, იოანე ნათლისმცემელმა მდინარე იორდანეში მონათლა იესო ქრისტე. ნათლისღების დღესასწაულზე წყლის კურთხევის მსახურება (დიდი აიაზმა) სრულდება და ნაკურთხი წყალი მთელი წლის განმავლობაში ინახება.

შვიდსერიიანი „შვიდკაცა“ და გურული პოლიფონია

40 წლის შემდეგ, დასრულდება სოსო ჩხაიძის მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „შვიდკაცა“. ფილმზე რეჟისორი სოსო ჩხაიძე 1979-87 წლებში მუშაობდა ტელეფილმების სტუდიაში.

ფილმის მთავარი გმირი, ახალგაზრდა კინორეჟისორი აგროვებს მასალებს სადიპლომო ფილმის გადასაღებად გურულ პოლიფონიურ სიმღერაზე. მაყურებელი თითქოს მასთან ერთად მოგზაურობს და ეცნობა გურული ხალხური სიმღერის დიდოსტატებს. ფილმში ასახულია 80-იანი წლების თბილისიც რეალური პერსონაჟებით.

„სამწუხაროდ, სოსო ჩხაიძეს არ დასცალდა ფილმის დასრულება, მაგრამ მან მოასწრო გადაღება, დამონტაჟება და გურიის ეპიზოდების ნაწილობრივი გახმოვანება. ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით ფილმზე მუშაობა წელს საბოლოოდ დასრულდება და მაყურებელი იხილავს შვიდსერიიან სატელევიზო მხატვრულ ფილმს“, — აცხადებენ ეროვნულ კინოცენტრში.

პოსტ-პროდუქციის პროცესს უძღვება პაატა გოძიაშვილი პროდიუსერ ნანა ზურაბიშვილთან ერთად. დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების ჩატარება: არსებული მასალის აღდგენა, ხმის გაწმენდა, ფერთა კორექცია, დიალოგების ნაწილის ჩაწერა, მონტაჟის დასრულება, მიქსინგი, ტიტრებისა და სუბტიტრების დამზადება.

მელანია ტრამპის გამოსამშვიდობებელი სიტყვა

აშშ-ის პირველმა ლედიმ, მელანია ტრამპმა ამერიკის მოსახლეობას გამოსამშვიდობებელი სიტყვით მიმართა.

სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ვიდეომიმართვაში აშშ-ის პირველმა ლედიმ განაცხადა, რომ „ამერიკელებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ძალადობა არასდროსაა პასუხი და მას არასდროს ექნება გამართლება“.

„ჩემო ამერიკელებო, აშშ-ის პირველი ლედობა ჩემი ცხოვრების უდიდესი პატივი იყო. მე შთაგონებული ვარ წარმოუდგენელი ამერიკელებით, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას თავიანთი სიკეთითა და სიმამაცით ადიდებენ“, — განაცხადა მელანია ტრამპმა.

„როდესაც თეთრ სახლში მოვედი, ვფიქრობდი იმ პასუხისმგებლობაზე, რასაც ყოველთვის ვგრძნობდი, როგორც დედა. ჩვენი, როგორც ზრდასრულების და მშობლების ვალია უზრუნველვყოთ, რომ ჩვენს შვილებს ჰქონდეთ საუკეთესო შესაძლებლობები, იცხოვრონ სავსე და ჯანსაღი ცხოვრებით“, — განაცხადა მელანია ტრამპმა.

აშშ-ის არჩეული პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ინაუგურაცია დღეს გაიმართება.

არ შეწყვიტოთ მცდელობები ჩვენამდე მოსაღწევად!!!

მაშველთა თქმით, ერთი კვირის წინ ჩინეთის ოქროს მაღაროში მომხდარი აფეთქების შედეგად მიწისქვეშ მოყოლილი 12 მაღაროელი ჯერ კიდევ ცოცხალია. მაშველებმა მაღაროელებისგან მიიღეს შეტყობინება — „არ შეჩერდეთ, გააგრძელეთ სამუშაოები ჩვენამდე მოსაღწევად“.

ამ დრომდე უცნობია სხვა 10 მაღაროელის ბედი აფეთქების შემდეგ. შეგახსენებთ, რომ 10 იანვარს ჰუშანის სამთო მაღაროში აფეთქება მოხდა, რომლის შემდეგაც საკომუნიკაციო სისტემა დაზიანდა და გამოსასვლელი გზებიც ამოიქოლა. მაშველთა თქმით, მას შემდეგ, რაც მათ თოკი ჩაუშვეს მაღაროში, იგრძნეს მოქაჩვა-გადარჩენილები ამგვარად ანიშნებდნენ, რომ ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. აღნიშნული ფაქტის შემდეგ მაღაროში ამოქოლილებს საჭმელი, წამლები , ქაღალდები და ფანქრები გაუგზავნეს.

მაშველებმა გარკვეული ხნის შემდეგ თოკი ამოწიეს, სადაც მიმაგრებული იყო შეტყობინება ქაღალდზე წარწერით, რომელიც ამცნობდა მათ, რომ 12 ადამიანი ცოცხალი იყო მაღაროს შუა ნაწილში. ჩანაწერის თქმით, 10 ადამიანის ბედი უცნობია ამ დრომდე. მაღაროელებს თოკით აგრეთვე ჩაუგზავნეს ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო წამლები, აგრეთვე სამედიცინო ბინტები სხეულის დაზიანებული ნაწილის შესახვევად.

მსგავსი ინციდენტები ძალზე ხშირია ჩინეთში — გასულ წელს, დეკემბრის თვეში 23 მაღაროელი დაიღუპა ქვანახშირის მაღაროში მხუთავი აირის გაჟონვის შედეგად.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორი ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 21 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2994; ევრო - 3.9801;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4674;
100 რუბლი - 4.4446; თურქული ლირა - 0.4395;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9409;
1000 სომხური დრამი - 6.3359.

ამინდი 20 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-8,	დღე	+4
მთიანი რაიონები -	ღამე	-12,	დღე	-1
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+5
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	0
თბილისი:	ღამე	-4,	დღე	+4

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge